მაია არავიაშვილის ინტერვიუ ჟურნალისტ ია მერკვილაძესთან

2023 წლის, 21 მარტი, ნიუ იორკი, ამერიკის შეერთებული შტატები

ინტერვიუერი: - მოგესალებით, დღეს ჩვენი ინტერვიუს რესპონდენტია ქალბატონი ია მერკვილაძე, ჟურნალისტი. ია მოკლედ რომ მოგვიყევით თქვენს შესახებ, სად დაიბადეთ, რომელ წელს?

რესპონდენტი: - დავიბადე 1968 წლის 26 აპრილს, ქალაქ ქუთაისში, სკოლაც იქ დავამთავრე და სამუსიკო სასწავლებელიც, მერე ჩავაბარე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში, პროფესიით ვარ ბავშვთა ფსიქიატრი, ფსიქო-თერაპევტი, ჟურნალისტიკაში კი ასე მოვხვდი: სამოქალაქო ომის დროს (მაშინ ვიყავი მესამე კურსზე) ვსწავლობდი სასამართლო მედიცინას. ზუსტად იმ პერიოდში, როცა სამოქალაქო ომი დაიწყო, არამიანცის საავადმყოფოს მორგში მოჰქონდათ ზვდიადისტებისა და, ასე ვთქვათ, არაზვიადისტების გვამები... თუ როგორი იარლიყებით იყო მაშინ დაყოფილი საზოგადოება და შტაბელებად ერთმანეთზე აწყობდნენ. არ დამავიწყდება, იმიტომ, რომ ზუსტად ამ პერიოდში ინსტიტუტში გავდიოდით სასამართლო მედიცინას. იანვარი იყო, როცა ყველა მედია, გაზეთი დაიხურა. ომმა ყველგან დაისადგურა. ახალი წლისთვის მე და ჩემმა ძმამ რის ვაი ვაგლახით თბილისიდან ქუთაისში მატარებლით ჩავაღწიეთ. მაგრამ მერე ქუთაისიდან თბილისში – ვერ. ვერ წავედი ზუსტად მაგ საგნის დიფჩათვლიშ ჩასაბარებლად. იყო საშინელი თოვლი, წარმოდგენა რა პერიოდი გავიარეთ ამ Generation –X -მა… აღარ ვიცი, რომელს ვეკუთვნი, აღარ მახსოვს (იცინის). გაგვყვეს, მიგვყვეს და რაღაცა ნაფტალინ დაყრილ ხალხად წარმოგვაჩინეს (იცინის).

მამაჩემი და მე ყოველ დღე დავრბოდით ქუთაისის აეროპორტში, მაგრამ ფრენა არ იყო. ერთ დიდთოვლიან დღესაც აი, ასე, ერთი ხელჩანთით ვიყავი, მივედით აეროპორტში. მამა მანქანიდან გადავიდა გაფრენის შანსის გასაგებად. უცებ მორბის და მიძახის – ჩქარა გადმოდი, ვერტმფრენი მიფრინავს თბილისშიო... მამაჩემს რომ სცოდნოდა რა ხდებოდა იმ ვერტმფრენში, ცხადია, არ ჩამსვამდა. ვერტმფრენში ვისხედით ათი ადამიანი, აქედან, არ მახსოვს ზუსტად, 7 იყო სამხედრო. ე.წ. სალონს გარშემო ჰქონდა ხის პატარა მერხი, ხოლო "იატაკის" ლამის მთელი ფართობი დიდ ოთკუთხედად ამოღებული იყო. ანუ, ვერტმფრენს ძირი არ ჰქონდა. მთელი ამ ხნის განმავლობაში, რაც ვიფრინეთ, მე მგონი 40 წუთი, მე ვხედავდი ყველაფერს, რაც ქვევით ხდებოდა. არც არაფერი ხდებოდა, მხოლოდ "ხედებს" ვათვალიერებდი. ვხედავდი ასე ვთქვათ, მთებს ზევიდან, თან ოდნავ თოვდა.

1992 წლის თებერვალში, მიუხედავად იმისა, რომ მედია დაიხაურა, გაზეთი – "იბერია–სპექტრი" მაინც გამოდიოდა. რედაქციაში მივიტანე ეს ჩემი ცხვრებაში პირველი სტატია. მგონი, მთელი 24 ფურცლიანი რვეული გავავსე. იგი ეხებოდა სამოქალაქო დაპირისპირებაში ინტელიგენციის როლს და ასე ერქვა, „კეთილი სიტყვითა და რევოლვერით უფრო მეტს მიაღწევ, ვიდრე მხოლოდ კეთილი სიტყვით“. ეს არის ალ კაპონეს სიტყვები და იგი, ცხადია, დიდი შემოკლებით ზუსტად ამ სათაურით გამოაქვეყნა რედაქტორმა, დავით კლიდიაშვილის შვილიშვილმა, ირაკლი გოცირიძემ. თან მითხრა, რომ ისეთი პერიოდია, ინსტიტუტიდან არ გაგრიცხონო, თუმცა სტატიის ბოლოს მაინც მიაწერა - სამედიცინო ინსტიტუტის პედიატრიის ფაკულტეტის მესამე ჯგუფის სტუდენტი, (იცინის). სხვათა შორის, მოგვიანებით, მან შემომთავაზა – რადიო "ამერიკის ხმა" კორესპონდენტს ეძებსო, მკითხესო და ჩემი კანდიდარი შენ ხარო. უარი ვუთხარი, მედიცინას უნდა მივუძღვნა თავი – მეთქი. მიპასუხა, ჩეხოვი, როგორც ექიმი დიდად არავის ახსოვსო. გაითვალისწინეო. უცნაურია, წლების მერე მაინც აღმოვჩნდი რადიოში, ასევე ამერიკულში, "რადიო თავისუფლებაში"

ჩემმა მშობლებმა არაფერი იცოდნენ "იბერია– პექტრში" ჩემი სტატიის შესახებ. მერე მამაჩემმა მაინც გაიგო, იმიტომ, რომ დაურეკეს სამსახურში და უთხეს – არ გეშინიაო, შენც არ მოგხსნანო და ა.შ. ასე დაიწყო ჩემი თანამშრომლობა "იბერია – სპექტრთან". ყოველ შემთხვევაში. პირველი სტატია ეხებოდა ზუსტად ამ თემას, ჩემთვის მიუღებელ თემას, რომ ადამიანი, რომელიც თავის კალმით უნდა მუშაობდეს და ადამიანის გადარწმუნებისთვის სხვა იარაღი უნდა ჰქონდეს, არ უნდა დარბოდეს ავტომატით და მოკვლით არ უნდა ემუქრებოდეს იმ ადამიანებს, რომლისთვისაც მუსიკას წერს ან ქმნის ლიტერატურულ ნაწარმოებს

ინტერვიუერი: - ანუ იმ ვერტმფრენში უსაფრთხოების ნორმები საერთოდ. არ იყო?..

რესპონდენტი: - არა, აი უბრალოდ ვინმე რომ დაცურებულიყო, ჩავარდებოდა, რომელიღაცა მთას დაასკდებოდა პირდაპირი მნიშვნელობით. ამას ხუმრობით არ ვამბობ მაგრამ, არ ვიცი რამ გამაძლებია, მაგრამ მახსოვს, როგორ ვიყავი მიკრული "კედელს". მაშინ არც ფოტოაპარატი მქონდა, რა ვიცოდი, ასეთ ისტორიულ თვითმფრინავში თუ ჩავჯდებოდი (იცინის). მამაჩემს ეგონა, რომ სამხედროები და ბავშვიანი ქალი რახან მიემგზავრებოდნენ, ვერტმფრენიც უსაფრთხო იქნებოდა... თან უფასოდ ვიმგზავრე, რახან გავიგიჟე თავი დიფჩათთვლა არ გამოვტოვო– მეთქი, ამისრულა მამაჩემმა სურვილი...

ინტერვიუერი: - ანუ ეს შენი ფრენა ქუთაისიდან თბილისში იყო

რესპონდენტი: - ჰო, თბილისამდე.

ინტერვიუერი: - და ფრენა იმიტომ დაგჭირდა, რადგან დიდთოვლობა იყო და ტრანსპორტი....

რესპონდენტი: - ტრანსპორტი არ იყო, რიკოთზე არაფერი დადიოდა, მატარებელი არ დადიოდა, იყო ომი. მე კი გამოცდები მქონდა ჩასაბარებელი.. ასე რომ ერთადერთი ქუთაისელი ვიყავი, რომელმაც თბილისამდე ჩააღწია იმ ომის დროს. ცხადია, სასამართლო მედიცინაში ჩათვლა პატიოსნად ჩავაბარე.

ინტერვიუერი: - ანუ მიუხედავად სამოქალაქო ომის მდგომარეობისა, უნივერსიტეტში სასწავლო პროცესი მაინც მიმდინარეობდა?

რესპონდენტი: - კი, გამოცდების პერიოდი იყო, მაგრამ, ფაქტობრივად, რაიონებიდან ვერავინ ჩადიოდა, იმიტომ, რომ შეუძლებელი იყო. განა ყველგან დაფრინავდა ჩემი კუსტარული ვერტმფრენი... თბილად კი გვეცვა, მაგრამ მახსოვს ეს ქალი, ბავშვი ჰყავდა ჩახუტებული, სამხედროები გარშემო ისხდნენ და ვიჯექი მე (იცინის) სტუდენტი, რომელმაც ჩამოაღწია დედაქალაქამდე, იმისთვის, რომ ჩათვლა ჩაებარებინა. მოკლედ, აი, ეს იმიჯი კარგად მახსოვს,

მაჩაბლის ქუჩაზე, სახალხო დამცველის ოფისი იყო. ის იყო აბსოლიტურად წარმოიუდგენლად საშინელ მდგომარეობაში... იქ ცხოვრობდნენ დევნილები, ინგრეოდა, წყალი ჩამოდიოდა, ხშირად იცხრილებოდა "მეომბოხეების" ავტომატებით. "იბერია – სპექტრის" რედაქცია იყო ბოლო სართულზე, იქურდებოდა ყოველ მესამე დღეს, არ გვხვდებოდა საბეჭდი მანქანა, რამდენჯერმე დააპატიმრეს რედაქტორი ირაკლი გოცირიძე. ეს იყო ერთადერთი გაზეთი, რომელსაც ღებულობდა ამერიკის კონგრესის ბიბლიოთეკა. არ ვიცი რანაირად წვდებოდა იმ პერიოდში ოკეანის გაღმა კონგრესის ბიბლიოთეკას, მაგრამ, ფაქტია, რომ "იბერია – სპექტრი" იყო ერთადერთ მედია, რომელიც იხურებოდა, იღებოდა, იხურებოდა და იღებოდა. გაზეთის კომერციული რედაქტორი ცხოვრობდა გვერდით შენობაში, მესამე სართულზე და ზუსტად იმ პერიოდში მისი აივანი არა ერთხელ დაიცხრილა. ასე რომ, იმ პერიოდში ჟურნალისტობა წარმოუდგენელი იყო... როცა იცოდი, რომ შეიძლება იმ შენობიდან გამოსულს ცეცხალი გაეხსნათ და სახლში ვერ დაბრუნებულიყავი.

ინტერვიუერი: - დღესდღეობით ეხლა ფართო საზოგადოებისთვის ცნობილი ხარ შენ, როგორც ჟურნალისტი, მე, მაგალითად პირველად გავიგე, რომ ბავშვთა ფსიქიატრიის მიმართულებით გაქვს განათლება მიღებული, ძირითადად როგორც მივხვდი, აი, ამ პოლიტიკურმა და სოციალურმა მოვლენებმა და ცვლილებებმა გიბიძგა, რომ გეწერა და მერე თავი დაგემკვიდრებინა უკვე ამ პროფესიაში ხომ?

რესპონდენტი: - როცა დავამთავრე ინსტიტუტი, ვმუშაობდი საავადმყოფოში გონებრივი განვითარების შეზღუდვის მქონე ბავშვების სპეც-სკოლაში, ვმუშაობდი პოლიკლინიკაშიც და მერე დავიწყე დაინტერესება ფემინიზმით, გენდერის თემით. ალბათ, ეს არის სადღაც 1996–97 წლები, როცა, მე მგონი, პირველი სტატია დავწერე. იგი ეხებოდა პორნოგრაფიას. მაგ პერიოდში არავის ეცალა პორნოგრაფიაზე სამსჯელოდ და არც იყო, ასე ვთქვათ, აქტუალური, მაგრამ მე რატომღაც ჩავთვალე, რომ ეს თემა აქტუალური იყო არა მაინც და მაინც იმ პერიოდისთვის, არამედ ზოგადად ქალთა მოძრაობისთვის, მერე იყო თემა ტრეფიკინგის და, ფაქტობრივად, არავინ მიბეჭდავდა, იმიტომ, რომ თვლიდნენ – ეს არის თითიდან გამოწოვილი თემა, არ არსებობს ტრეფიკინგი და თანამედროვე მონობა. გაზეთი "კავკაზსკი აქცენტი" გამოდიოდა (სტატია რუსულად გადაითარგმნა) და დამიბეჭდეს. "დილის გაზეთთან" ვთანამშრომლობდი, მერე გამოჩნდა ეს ფონდები და დავიწყე ცოდნის გაღრმავება საზღვარგარეთ, სოროსის ფონდის გრანტი მქონდა, სხვათაშორის ერთ-ერთი იყო Women's Oral Histories…. ნათარგმნია კიდევაც, მაჰმადიანი მესხი ქალის ისტორია, რომელიც სამჯერ თუ ოთხჯერ გახდა დევნილი. ვცდილობდი შემლებისდაგვარად ჩემი პროფესიაც არ დამევიწყებია და ამავე დროს მეწერა აქტულაურ თემებზე.. ვმუშაობდი ქუჩის ბავშვებთან, გაეროს პროექტი იყო – ვიყავი, როგორც ფსიქოლოგი და პედაგოგიც. რაც კი რამ მარგინალური ფენა იყო საქართველოში, ყველაზე ვწერდი, ვთქვათ, ცირკთან მდგომ სექს მუშაკებიდან დაწყებული („ცირკის ბოზებს“ ეძადნენ მაშინ), ვიდრე უსახლ–კარეობამდე. სექსმუშაკებთან ინტერვიუები ჩავწერე. "რადიო თავისუფლების" ქალთა პროგრამისთვის ვმუშაობდი, "კავკასიურ სახლში" გენდერული მიმართულებითაც ვმუშაობბდი და წიგნიცა მაქვს გამოქვეყნებული "გენდერულ ტერმინთა მოკლე ლექსიკონი" ჟურნალისტებისთვის, ორენოვანი. კვლევებიც მაქვს: ქალი და პოლიტიკა, ქალი და მედიასტერეოტიპები და ა.შ. ვსწავლობდი ლუნდში, ვალენბერგის ინსტიტუტში, ქალთა უფლებებს, კომფლიქტების მოგვარების მედიაციას – ზალცბურგში. მეც მქონდა ჩემი არასამთავრობო ორგანიზაცია, ქალთა რესურს-ცენტრი „სათნოება“, ვიკრიბებოდით

ჩემთან, რაღაც პატარ-პატარა აქტივობები იყო დაგეგმილი, მე ვიყავი ჯგუფში "ქალი და კონფლიქტები" და "ქალი და მედია".

სოჭში გაეროს ეგიდით გავემგზავრე, იქ იყო შეხვედრა აფხაზეთის არასამთავრობოების წარმომადგენლებთან. ეს იყო ხიდების შენების პროცესი, ვესაუბრებოდით ერთმანეთს. "კავკასიურ სახლში", სადაც მე ვმუშაობდი, ჩამოდიოდნენ აფხაზი და ოსი ქალები. "კავკასიური სახლიც" ძალიან ხშირად იყო არაჯანსაღი ძალებისთვის სამიზნე, იმიტომ, რომ ჩეჩნებს ვიფარებდით. ვწერდი ჩეჩნებზე, ვიყავი პანკისში არა ერთხელ. მე მგონი, საქართველოში ერთადერთი ქართველი არამუსლიმი ქალი ვარ, ვინც მუსლიმურ სალოცავში ნამაზის ჩატარებისას დაუშვეს... მაშინ ნაირა გელაშვილმა დაწერა "სამოქალაქო ლოცვა", ლოცვა კავკასიის გადარჩენისთვის, რომელიც კავკასიის სხვადასხვა რეგიონში, სხვადახსხვა აღმსარებლობის ადამიანებმა ერთდროულად წაიკითხეს. ფოტოც მაქვს, სადაც აღბეჭდილია როგორ ვესწრები ნამაზს. ჰოდა, ეს ლოცვა პანკისელებმაც წაიკითხეს.

ინტერვიუერი: - რამდენწლიანი გამოცდილება გაქვს, ესეთი აქტიური მოღვაწეობის საქართველოში, მას მერე უნივერსიტეტში სწავლობდი და დაამთავრე უნივერსიტეტი
.

რესპონდენტი: - სამედიცინო ინსტიტუტი დავამთავრე 1993 წელს. სამჯერ აკადემიური ვიზით ვიყავი ამერიკაში. 2005-ში სან-ფრანცისკოს უნივერსიტეტს ჰქონდა საზაფხულო სკოლა და ვესტუმრე ისევ.

ინტერვიუერი: ანუ სანამ ემიგრაციას გადაწყვეტდი, რომ მოდიხარ ამერიკაში საცხოვრებლად, მანამდე გქონდა უკვე გამოცდილება ამერიკაში ვიზიტის ხომ?

რესპონდენტი: - დიახ. ავსტრიაში გავიარე კონფლიქტოლოგიისა და მედიაცია–ფასილიტაციის ორწლიანი კურსი და რო დავბრუნდიმ "კავკასიურ სახლში, გარდა იმისა, რომ ვმუშაობდი პიარისა და გენდერის მიმართულებით, საკვირაო სკოლაში დევნილ ბავშვებს კონფლიქტოლოგიის გაკვეთილების ჩატარება შემომთავაზეს. ეს

იყო როლური თამაშები და სხვადასხვა მეთოდების გამოყენება. ჯგუფი კი – ამ ომისგან დაზარალებული ოჯახების უმცროსი თაობა იყო.. ეს მნიშვნელოვანი იყო, იმიტომ, რომ, ფაქტობრივად, იზრდებოდნენ მტრის ხატით და ამ გაუთავებელი პოსტტრავმატული სტრესული აშლილობით. ცხადია, როცა მამას მოგიკლავენ, სახლს დაგინგრევენ, მტერი დეჰუმანიზირებულია და წლები გაგდევს ეს სტერისი.

2004 წლის 8 მარტს ვიყავი ცხინვალში, ჩავატარე ტრენინგი ქალთა თემაზე –მედია და გენდერული სტერეოტიპები, სადაც, თუ არ ვცდები, 30 დამსწრეთაგან 15 კაკებეს აგენტი იჯდა და ეს ჩვენ ვიცოდით. ვცდილობდით, რომ ამგვარი თემების გაშლით, გვეპოვა საერთო სასაუბრო თემა, ინტერესი, დავლაპარაკებოდით ერთმანეთს, ქალთა თემის პრიორიტიზაციით, იმ თემებით, რომელიც ასევე აქტუალური იქნებოდა ოსი თუ აფხაზი ქალებისთვის. მაგრამ 2008 წლის ომმა ეს ყველაფერი დაანგრია და წყალში ჩაყარა. ყოველ შემთხვევაში მე ესე ვთვლი.

მე ასევე ვმუშაობდი კონფლიქტოლოგიის საერთშორისო ცენტრში. ეს ორი ორგანიზაცია ორიენტირებული იყო "მტრების" დაახლოვებაზე, თუმცა ყველა ეს ჩვენი მცდელობა იყო მკვდრად შობილი, იმიტომ, რომ პუტინის "ზაგატოვკები" ჩვენზე ძლიერი იყო, ამიტომ ნებისმიერი მცდელობა იმთავითვე განწირული იყო. მაგრამ მაშინ იმედი გვქონდა, რომ... ძალიან გული მწყდება, თუნდაც იმიტომ, რომ ამაში პირადად მეც მაქვს წვლილი შეტანილი.

არ დამავიწყდება ანა პალიტკოვსკაია იყო ჩამოსული თბილისში და მე გავყევი პანკისის ხეობაში, "მაშურტკაში" ვიჯექით, რაღაცას მიყვებოდა და უცებ მითხრა ზუსტად ასე – "у вас нет никакогo шанса". იქ „ნოვაია გაზეტას" კიდევ ერთი კორესპონდენტი გვახლდა. ძალიან მეწყინა, იმიტომ, რომ ვთვლიდი – იმდენად დიდი რესურსი იყო ჩადებული დროის, ნერვების, ინტელექტუალური, ემოციური ამ ყველაფერში, სულ ვწერდი აი ამ კონფლიქტების მოგვარების აუცილებლობაზე, თანაგანცდაზე, პატიების უნარზე, საერთოს გამოძებნის შანსებზე.

როცა "ლოცვა კავკასიის გადასაარჩენად" ვრცელდებოდა, უამრავი ადამიანი გამოგვეხმაურა, აიტაცეს და გვჯეროდა, რომ ამ ენერგეტიკით რაგორმე დავეხარებოდით ერთმანეთს, ამ კატასტროფული მდგომარეობას დავძლევდით, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს არ და ვერ მოხდა –აღმოჩნდა, რომ იმას, ვისაც ძალა აქვს, მხოლოდ ძალით უნდა დაუპირისპირდე და ამას უკრაინის მაგალითი ცხადყოფს. მხოლოდ შიშველი სიტყვით – ვერა. ცხადია, სამწუხაროდ... აი, სწორედაც რომ მხოლოდ სიკეთეს სჭირდება იარაღი, რომ თავისი იდეა და თავისი თავი გადაირჩინოს.

ინტერვიუერი: - ჩამოსვლა როცა ახსენეთ, ია, რომელ წელს იყო, რა ტიპის ვიზიტი იყო და რამდენად აი ამ პირველმა ვიზიტმა გადაგაწყვეტინათ შემდეგში, რომ ამერიკა იქნებოდა ის ქვეყანა, სადაც წახვიდოდით საცხოვრებლად

რესპონდენტი: - პირველი ვიზიტი იყო "მშვიდობის ინსტიტუტში" ვაშინგტონში, რომლის დამფუძნებლები არიან ამერიკის პრეზიდენტები. ძალიან საინტერესო შეხვედრა იყო. მე ვიყავი ერთადერთი, რომლიც, ასე ვთქვათ, არ შეესამაბებოდა დადგენილ კრიტერიუმებს, სხვათა შორის, ორი ვიზიტის დროს, სწორედ ისე აღმოვჩნდი ამერიკაში, რომ არანაირად იყო გათვალისწინებული ჩემნაირი ადამიანის მოწვევა, მითუმეტეს, სასტუმროს და ბილეთის ხარჯების დაფარვა. რახან მე ვასწავლიდი კონფლიქტოლოგიას, ამიტომაც ამ ორგანიზაციას მივწერე: ხომ არა გაქვთ ლიტერატურა, რამდენსაც გავწვდები, გადაგიხდით და გამომიგზავნეთ–მეთქი, იმიტომ, რომ კონფლიქტოლოგიის თემაზე სანთლით საძებარი კი არა, აი, საერთოდ არაფერი არსებობდა. რაღაც მასალა წამოვიღე ავსტრიიდან, ჩემითაც მოვიძიე ინტერნეტში და უცებ მწერენ – თუ შეიძლება სკაიპით ჩაგვერთვეთ, დაგელაპარაკებითო ამა და ამ დროსო. ჩავრთე სკაიპი და თუ სწორად მახსოვს, 2 თუ 3 ადამიანი იყო.... დამისვეს 10 კითხვა და მეუბნებიან – ჩვენო მოწვევასა და ბილეთს ამა და ამ მისამართზე გამოგვიგზავნეთო. არადა უბრალოდ წიგნების ფასი და გამოგზავნის შანსზე ვიკითხე. მითუმეტეს, როცა ვნახე სემინარის კრიტერიუმები, იგი ტარდებოდა მხოლოდ ამერიკაში მომუშავე მასწავლებლებისთვის. თან მე

მასწავლებელი არა ვარ, ანუ პედაგოგის სერტიფიკატიც არ მაქვს, მაგრამ, აი, დამპატიჟეს. რაც შეეხება ბოლო ვიზიტს, ზუსტად იგივე სიტუაცია იყო, ეს იყო სან-ფრანცისკოს უნივერსიტეტის საზაფხულო სკოლა/ კონფერენცია და ერქვა Sexual Rights and Moral Panics. "მორალური პანიკის" თაობაზე გ როგორც პრობლემის თაობაზე, გაკვრით მსმენოდა, უფრო დეტალურად კი სან–ფრანცისკოში გავიგე, ჰოდა, უცნაური იყო, რომ როცა მივწერე – რაიმე ლიტერატურა ხომ არ გაქვთ, იქნებ გამომიგზავნოთ – მეთქი. ჰოდა, სრული დაფინანსებით მიმიწვიეს, არადა ეს კონფერენცია/სკოლა არ მოიაზრებდა ჩემნაირის მოწვევას. საქართველოში კი ზუსტად ის პერიოდი იყო, როცა ყველა ბასილ მკალავიშვილის ფანტასტიური გაქანების "მორალური პანიკების" მოწმენი ვიყავით (იცინის). შეგვაღონა ამ თავისი ჯვრის ქნევით: ხან ვის ურახუნდებდა ამ ჯვარს ზურგში და ხან თავში, ხან – ვის. ფაქტობრივად, მისნაირი ობსკურანტების აგრესიის მიზეზი ბასილ კობახიძე იყო, რომელიც "კავკასიურმა სახლმა" მიიღო. მაგრამ ამ აგრესის ესკალაციისას ბასილ კობახიძემ გადაწყვიტა დაეტოვებია "კავკასიური სახლი", ამბობდა – ვიცი, თქვენ პრობლემებს გიქმნითო. დაწესებულების დაცვა, ყოველთვის ცუდის მზადყოფნაში იყო. დარეკავდა ვიღაც ანონიმი, გვეტყოდა, აი, ეხლა დაგარბევთ და ახლა ცეცხლს წაგიკიდებთო... ჰოდა, რატომ ვყვები ამას: ეს, ცხადია, არ იყო ნორმალური გარემო. მე, როგორც ფსიქიატრს, ჩემი პროფესიული "დეფორმაცია" მაქვს (იცინის). ძალიან ხშირად ბევრ პრობლემას ადამიანის ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემას, ფსიქოპათიას მივაწერ. შეიძლება ეს ჩემი ნაკლია, არ ვიცი, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ხშირად ასე ვფიქრობ. მინდოდა რამენაირად ამეხსნა, რომ, აი, რატომ უნდა იყოს ასე აგრესიული ადამიანი, რომელსაც ჯვარი უკიდია და ადამიანს ჯვარს მხოლოდ იმიტომ ურტყამს, რომ ვიღაცამ რაღაც მისთვის მიუღებელი თქვა ან ჩაიცვა. ჰო, თუნდაც მიუღებელი, თუნდაც არასწორი. შენ რისი მღვდელთმსახური ხარ, თუ არ შეიწყნარე, არ აუხსენი მშვიდად, წყნარად. მოკლედ ტერმინი "მორალური პანიკა" რომ აღმოვაჩინე, ცხადია, დავინტერესდი და ამ ამერიკულ უნივერსიტეტს ვთხოვე – რაიმე ლიტერატურა მირჩიეთ, გამომიგზავნეთ – მეთქი.

ეს ვარდების რევოლუციის შემდეგი პერიოდია... ასეთი თემებისთვის არავის არ სცალია. მომწერეს, სკაიპი გაქვსო? (იცინის), მაქვს – მეთქი. თუ შეიძლება ჩართეო, ჩავრთე და ისევ. 3 თუ 4 ადამიანი იჯდა, გამესაუბდრნენ და მითხრეს. ეხლავე გამოგიგზავნით ბილეთსაცო, ჩამოდითო (იცინის), მოკლედ რომ იტყვიან ამერიკა გადამეკიდა, პირდაპირი მნიშვნელობით (იცინის) ერთი სიტყვა ვერ დავძარი, წიგნი ვერ ვთხოვე ისე, რომ ჩამოსვლა არ შემოთავაზებინათ. (იცინის), მოკლედ ისევ აღმოვჩნდი ამერიკაში.

ლუკა უკვე მყავდა...დედამ დაწერა სადეკრეტო შვილიშვილზე, მიატოვა სამსახური, დედა წამოვიდა თბილისში და ლუკას ზრდიდა. სიტუაცია ასეთი იყო ან მე უნდა დავმჯდარიყავი სახლში, ასე გამოდის ან დედა... ყოველ შემთხვევაში ასე გადავწყვიტეთ – ჯობდა, რომ დედა წამოსულიყო სამსახურიდან. ის შემოსავალი, რაც მე მქონდა, მიუხედავად იმისა, რომ მქონდა გრანტები, მქონდა ბიოლის ფონდის პროექტი (თემა იყო მედია და გენდერული შსტერეოტიპები), სამგან ვმუშაობდი, ღამე 3 საათი მეძინა, თანხა არ იყო საკმარისი. ამ ბოლო პროექტისთვის მეზობელს, ნაცნობს თუ უცნობს ჟურნალები „თბილისელები“, „გზა“ მოჰქონდათ, ჩემთან რაღაც სასწაული კონტენტის ჟურნალებს მოარბენინებდნენ...რომლის გამოც თვალები კეფაზე გადამდიოდა. იმიტომ, რომ მანამდე ამგვარი არაფერი წამიკითხავს, მიუხედავად იმისა, რომ ვწერდი გენდერულ თემაზე, მასკულინობაზე, მაგრამ ამგვარი სიყვითლე არასდროს შემხვედრია. იმის მერე 2-ჯერ თუ 3-ჯერ მაია ასათიანის გადაცემას ვუყურე და გაბრაზებულზე კიდევაც დავწერე სამი ბლოგი... მივხვდი, რომ მეტს ვეღარ ვუყრებდი იმიტომ, რომ წარმოუდგენლად ვულგარული სტერეოტიპების, სისულელეების, თითიდან გამოწოვილი იდიოტობების გაუთავებელი ტირაჟირება არ სრულდებოდა, თან ამის ნორმალიზება ხდებოდა და ამასთან "ბრძოლის" სხვა გზა იყო მოსაძებნი. მეგონა, რომ ბუნებაში არ არსებობს ამგვარი რამ, არამედ მხოლოდ ამ შოუების ფორმატში, მაგრამ, ჩემდა სამწუხაროდ, როცა გავეცანი (იცინის), ამ ე.წ ლიტერატურას, რომელიც, აი, როგორც შენ წიგნები გიწყვია უკან, აი, ასე მქონდა დაწყობილი კოშკებად. დამემართა სრული, ახალი წარმომავლობის კულტურული

შოკი (იცინის). თურმე სად ვარ, ანუ გამოდის, რომ აბსოლუტურად სხვა პლანეტაზე ვცხოვრობ და მთლად კარგად კი არა, საერთოდ არ ვიცნობ სოციუმის გემოვნებას. სხვათა შორის, მინდა ვთქვა, რომ ერთ-ერთი ყველაზე მწვავე ჩემი სტატია, ოჯახში ძალადობის თაობაზე „იბერია – სპექტრში“ გამოქვეყნდა. მაშინ ომბუდსმენის ოფისმა მთხოვა აპარატის წარმომადგენელს გავყოლოდი სასამართლო პროცესზე რეგიონში, იმიტომ რომ ერთ-ერთი ძალიან კორუმპირებული პარლამენტარის ენძელ მკოიანის ოჯახი ავიწროვებდა თავის რძალს. ქალს შვილები წაართვეს, რეპუტაციას ულახავდნენ. ეს ამბავი ომბუდსმენის ანგარისშიაცაა. აბსოლიტურად წარმოუდგენელ უსამართლობას ჰქონდა ადგილი. სამი ინსტაციის სასამართლო მოიგო ამ ქალმა, მაგრამ განჩინება არაფრით არ შევიდა ძალაში, არ აღსრულდა. ადამიანმა დაკარგა თავისი შვილებიც და, მე მგონი, რამდენადაც ვიცი, ეხლა იგი საქართველოში არ ცხოვრობს. ეს იყო ოჯახში ძალადობა. რედაქტორმა ამ შემთხვევაში შემაცვლევინა სახელი და გვარი, იმიტომ, რო, იმდენად დიდი საშიშროება არსებობდა, რომ გამისწორდებოდნენ. მკოიანების მაფია იყო რეალურად შეიარაღებული ბანდა, რომლისაც ყველას ეშინოდა შევარდნაძის ჩათვლით და ყველა მოწვევის პარმანტარი იყო. როცა ჩვენ ჩავედით ახალციხეში, მომზადებულები "დაგვხვდენენ". ჯერ გზა გადაკეტეს, ვითომ საპროტესტო აქციით, გაოვაღწიეთ, მერე ლამის მძღოლს მოსდეს შარი, გადააჭარბეო სიჩქარესო. მთელი კაგებეს მანქანებიდან ვიდრე მაფიის ექსკორტამდე დაგვყვებოდნენ წინდა უკან. ქალაქის მერმა თუ რეგიონის გუბერნატორმა გვთხოვა: ძალიან გთხოვთ – არაფერი მკითხოთ, არანაირი ზედმეტი მოძრაობაო, როგორც ჩამოხვედით, ზუსტად ისე წადით უკანო. ე.წ. აღსრულება "გადაიდო". ჩვენც უკან წამოვედით, მოგვყვებოდა კიდე მანქანების ჯარი და კიდე იმ ქალის ძმამ თბილისამდე ჩამოგვაცილა, რომ რაიმე ინცინდენტი არ შეგვმთხვეოდა. აგვარი მომენტები საქართველოს იმ პერიოდის ძალიან კარგი მახასიათებელია. ამ მდგომარეობაში იყო ქვეყანა, არ ვსაუბრობ უბრალოდ რაღაცა გენდერულ მგრძნობელობაზე და ა.შ. "უბრალოდ" ქალს წაართვეს შვილები და სასამართლოს გადაწყვეტილების მიუხედავად მაინც არ აღესრულა სამართალი. როცა საქართველო

გახსენდება, ჩემ მეხსიერებაში, აი, ეს თემები ცოცხლდება. როცა ოჯახში ძალადობასთან ბრძოლის ქსელის შექმნაში წვლილი გაქვს, მაგრამ მერე გებულობ, რომ 35 ქალი მოკლეს 2014 წელს, დიდი გაწბილება გეუფლება... როგორც ამბობენ – რისთვის ვირბინე, რისთვის ვიწვალე, რა დაგაკელით (იცინის).

აქ ამერიკაში გამომყვა საქართველოს პრობლემატიკა, იგი "თან წამოვიღე". მარტივი არაა გაგეთიშოს ტვინი და არ იცხოვრო იმ ქვეყნის პრობლემებით, საიდანაც ხარ. 2014 წელს მივიღე მონაწილეობა სახალხო დამცველის მიერ გამოცხადებულ კონკურსში და ჩემმა ბლოგმა გაიმარჯვა, მეორე ადგილი აიღო. დედამ აიღო ის პრიზი. ბლოგს ჰქვია "უფულოები და უოთახოები", სიტყვები ვირჯინია ვულფის წიგნის ციტატის მიხედვითაა. აღვწერ აქ ჩამოსული ქალების მდგომარეობას. ეს არ არის ის "ლაქშერი სიტუაცია", როგორიც საქართველოდან ჩანს. სხვა რეალობაა და ამ რეალობას თუ გინდა გაეცნო, ელემენტარული რამ გჭირდება – უბრალო დაინტერესება ამ ადამიანებით და არა მარტო მათ მიერ გადაგზავნილი ფულით; საბანკო ანგარიშებიდან საერთო ჯამში რამდენს აგზავნიან... ამერიკიდან, საბერძნეთიდან. ამ თანხის უკან ადამიანები არ ჩანან. ეს თემა, უჩინარების თემა ძალიან მაწუხებს.

ინტერვიუერი: - სანამ აქაურ ცხოვრებაზე გადავალთ და ქართულ ემიგრაციაზე გადავალთ, რომ გაიხსენო. რამდენი წლის იყავი, როდესაც უკვე გადაწყვიტე რო მოდიხარ ამერიკაში საცხოვრებლად, რომელი წელი იყო, ეს ეხლა მეორედ წამოსვლა იყო?

რესპონდენტი: - 2005 წელს. 37 –ის ვიყავი. წამოვედი ერთი პატარა ჩანთით, პატარა ჩანთას ვგულისხმობ იმას, რომ დარჩენის სურვილი არ მქონდა იმიტომ, რომ გეგმები მქონდა, ლუკა იყო პატარა, ბილეთს ბოლო წუთამდე ვუყურებდი. იგი ორი მიმართულებით იყო. სხვათა შორის, პირველ ჩამოსვლაზეც, აქ ჩემი მეგობრები ვინც იყვნენ და ვინც დარჩნენ, მეუბნებოდნენ რომ, ია, მაინც მოგიწევს აქ წამოსვლა, საქართველო არ არის ადგილი, სადაც შენნაირმა ადამიანებმა შეიძლება წელი გაიმართონ. იმიტომ, რომ არცერთ პარტიაში ვარ; იმიტომ, რომ ძალიან მკვახე ენა

მაქვს. რასაც ვფიქრობ, იმას ვამბობ. იმისთვის, რომ შენ გააკეთო ის, რასაც ფიქრობ და წერდე იმას, რასაც ფიქრობ, ამისათვის გჭირდება ეკონომიკური დამიუკიდებლობა. როცა დამოკიდებული ხარ პარტიაზე, დამოკიდებული ხარ ორგანიზაციაზე, შენ ფაქტობრივად, ეგუები სიტუაციას და ყოველთვის თვითცენზურითა ხარ დაკავებული. იყო ეს ჩემთვის გარკვეულწილად თავისუფლების მოპოვების ეტაპი? არა, ვერ ვიტყვი, რომ ასე იყო. რანაირად შეიძლება იყოს თავისუფალი ადამიანი, რომელმაც 2 წლის შვილი დატოვა. სხვათა შორის, ლუკას დაბადების დღეზე გადმოვფრინდი აქ. დისტანციაზე უფრო ავწონ-დავწონე სიტუაცია და შესაბამისად ვიფიქრე, რომ ჩემი ოჯახის წევრებისთვის, ჩემი შვილის მომავლისთვისაც ეს იქნებოდა ყველაზე, ასე ვთქვათ, საჭირო გადაწყვეტილება. მაგრამ მხოლოდ ღმერთმა იცის რა დამიჯდა, რა ნერვების ფასად. ეს არ არის მარტივი გადაწყვეტილება. იყო პერიოდი მე, მგონი 2-3 თვე, საერთოდ აქაურ ბავშვებს ვერ ვუყურებდი, თვალს ვარიდებდი... არ შემეძლო ბავშვების ჟრიამულის მოსმენა. სხვათა შორის, ლუკამაც იგრძნო რომ მივდიოდი, მიუხედავად იმისა, რომ არც ჩანთა დაუნახავს, არც მზადება. ბავშვი იყო არანორმალურად გაღიზიანებული იმ დღეს, როცა მე ჩემ ძმას აეროპორტში უნდა წავეყვანე. ხან კიოდა, წიოდა. სასწაული ის იყო...სახლში ფანჯარა საკმაოდ მაღლაა... ლუკამ ცალი ფეხსაცმელი მოისროლა და ორი ეზოს იქეთ გადაისროლა. ორი დღე ეძებდნენ ჩემები, ვერ იპოვეს და მერე მეზობელმა იპოვა და დედაჩემს გასძახა... იმ დღეს აბაზანის კარზე მიკაკნუებდა, დამყვებოდა, ღრიალებდა, ტიროდა. არასდროს ასე არ მოქცეულა. ბავშვს ხომ აქვს ინტუიცია... რომ გავდიოდი, ეძინა და არ დამავიწყდება, როგორი იყო. მუცელზე ეძინა, ცალი ლოყა ჰქონდა მიჭყლეტილი ლეიბზე, კულულები დაყრილი. მე შემეშინდა, რომ ვაკოცო, შეიძლება გაიღვიძოს და ვერ წავალ-მეთქი, ასევე დედაჩემსაც ვერ გადავეხვიე. რომ გადავხვეოდი, შეიძლება ვერ გავსულიყავი სახლიდან. იმ დღეს ვიყავი ცუდად. შეუძლებელი იყო ოჯახს 500 ლარით ეცხოვრა, არა, უფრო ნაკლები იყო ჩემი შემოსავალი. არავინ მუშაობდა, ლუკა მითუმეტეს (იღიმის).

ინტერვიუერი: - ვიზიტის შემდგომ როგორ განვითარდა მოვლენები?

რესპონდენტი: - სან-ფრანცისკოში ვიზიტის შემდეგ ჯერ ვაშინგტონში ვცხოვრობდი და მეგონა, რომ იქნებ ვაშინგტონში ვიპოვიდი რაიმეს. მითხრეს, რომ "ამერიკის ხმაში" მოხვედრას საგარეო საქმეთა სამინისტრო წყვეტსო. მოკლედ შანსი არ მქონდა, ამიტომაც გადავფრინდი ნიუ იორკში და აქ ახლობლების საშუალებით დავიწყე სამსახური მოხუცთან, მომვლელად, ისევე, როგორც ყველამ დაიწყო.

ინტერვიუერი: - ამ პერიოდში სტატუსი ლეგალური სტატუსი არ გქონდა, უბრალოდ ჩამოხვედი სამუშაო ვიზიტით და მოგიწია...

რესპონდენტი: - ჩემი იყო სასწავლო ვიზა, აკადემიური ვიზით ჩამოვედი. მე მგონი, ამ ვიზით სამხედროები, სამღვდელოება და აკადემიკოსები დადიან. რაღაც პერიოდი მქონდა მოწვევა სან-ფრანცისკოს უნივერსიტეტიდან, მქონდა შეთავაზებები, მაგრამ ეს ყველაფერი იყო თანხასთან დაკავშირებული. სწავლა არის ფუფუნება, შესაბამისად, გამოდის, რომ ისევ სწავლაზე რომ გადავრთულიყავი, ჩემს ოჯახს ვერ დავეხმარებოდი. ასე რომ ესეთი არჩევანი გავაკეთე – ოჯახის სასარგებლოდ.

ინტერვიუერი: - ნიუ იორკი რატომაც შეარჩიე იყო ის, რომ ახლობლები გყავდა აქ, რომლებიც მხარს დაგიჭერდნენ, რომ სამსახური გეპოვნა?

რესპონდენტი: - ვაშინგტონში ვიყავი ჩემი ძმის მეგობრის ოჯახში, მაგრამ იქ უბრალოდ ასეთი ტიპის სამსახურები არ არის და ვერც იპოვი. ამიტომაც ნიუ იორკში წამოვედი და იქაც ახლობლებთან ვცხოვრობდი ოლდ ბრიჯში მანამ, სანამ დავიწყებდი სამსახურს და, ცხადია, ბინასაც ვიქირავებდი. ეს ის პერიოდია, როცა, ფაქტობრივად, მხოლოდ ერთი ადამიანის ტელეფონი გაქვს. არსებობდნენ ეს ქართველი "აგენტები", რომლებიც თავადაც მოხუცებთან მომვლელებად მუშაობდნენ... ვიყიდე სამსახური ქართველი აგენტისგან, ორი კვირა იყო მაშინ გადასახდელი. მან მითხრა, ვიღაც ქართველს მეც ვიცნობო, ჰოდა, იმის ტელეფონი მომცა, მერე იმ მესამემ მომცა მეოთხეს ტელეფონი, მეოთხემ – მეხუთეს და აი ესე, ფაქტობრივად, "დავიწყე" Networking-ი სამსახურიდან გამოუსვლელად, მაშინ არც ფეისბუქი იყო და არც სხვა სოციალური მედია. ვწერდი სტატიებს, ინტრევიუებს,

ვაქვეყნებდი გაზეთ "ახალ შვიდ დღეში: პირველი ჩემი მასალა ეხებოდა ქართული კულტურის ცენტრს "ფესვები". "ფესვების" კონცერტი იყო და მაშინ გავიცანი ქორეოგრაფი შორენა ბარბაქაძე. არ დამავიწყდება, მე მგონი, ეს იყო, თუ არ ვცდები, ჩემი ნიუ იორკში ჩამოსვლიდან, 6 თვის თავზე. მოვხვდი ქართულ გარემოში, მერე წამიყვანეს რესტორანში და იქ რომ დავინახე ქართული სუფრა, ცრემლების ისეთი უხმო ღვარ–ღვარი დამეწყო, ხალხი მეკითხებოდა, რა მოგივიდა, ცუდად ხომ არა ხარო?... იმდენად გამოუთქმელი იყო ეს განცდა. განა საჭმლის დანახვაზე, განა მჭადი და სულგუნი მომენატრა. არამედ ეს ასოციარებული იყო იმასთან, რასაც დავემშვიდობე ზაფხულში... მერე უცებ როცა ხედავ ქართულს, ქართული გესმის. ცხელი ხაჭაპური შემოიტანეს და კიდევ უფრო წამომცვივდა ცრემლები... ხაჭაპური, როგორც სიმბოლო, როგორც იმ რაღაც მყუდრო გარემოსი, სადაც სახლი გაქვს, სადაც დედაა, ახალი წლის ფუსფუსია და სადაც იცი, გიცნობენ, ყველას უყვარხარ. მტკივნეულია ახალი წლები, როცა ოჯახის გარეშე ხარ და მიყურადებული გაქვს, იქნებ ვინმე საზეიმოდ გამოვიდეს სამსხურიდან და შენ დაგიძახოს, რომ ის ორი დღეც 31 დეკემბერ –1იანვარი იმუშაო. სახლში გააგზავნო ფული, ფაქტობრივად, პირველი აი 3–4 წელი ჩემი ახალი წელი ასეთი იყო, მე კიდევ "გამიმართლა", ოთახი მქონდა დაქირავებული დ მეტ-ნაკლებად სოციალური ცხოვრებით ვცხოვრობდი, მუზეუმ–გალერეა, თეატრებში დავდიოდი, მაგრამ არიან ქალები, კაცები (არა ერთხელ დამიწერია მათზე) წლობით, განა თვეობით, წლობით! ერთ ოჯახში ცხოვრობენ და ის ოჯახი უგზავნის ფულს საქართველოში. ეს ქალები ბანკამდეც ვერ მიდიან, არ იციან, როგორ დადონ ფული ანგარიშზე. ეს ჩემთვის არის წარმოუდგენელი რამ! ადრე უფრო ვჩხუბობდი, ვკამათობდი და უფრო ხისტად აღვიქვამდი ამას – ქალებო, ნუ ისამარებთ თავს და ასე რანაირად შეიძლება ცხოვრება? ამერიკაში ხარ, ნიუ იორკთან ახლოს ხარ, მეტროპოლიტენ მუზეუმში როგორ არ უნდა წახვიდე? მივხვდი, რომ ამგვარ "ლექციებს", კამათს აზრი არ ჰქონდა. დავიღალე და მერე დავასრულე ამაზე საუბარი. მე პირადად ვიცნობ ერთ ქალს, რომელიც ზუსტად 11 წელი ცხოვრობდა ერთ ოჯახში, ის ბაბუა, რომ გარდაეცვალა, მართლა ჩაყვა საფლავში, მიუხედავად იმისა, რომ

საქართველოში მშობლები გარდაეცვალა... და ასეთი სასოწრკვეთა არ დამართნია. ვერ მიდოდიდა, საბუთებიც არ გააკეთა. ამ მოხუცის სიკვდილი ეს მის ცხოვრებაში ისეთი არანორმალური, წარმოუდგენელი ტრაგედია იყო, ფაქტობრივად, ფსიქიატრის დახმარება დაჭირდა.

ინტერვიუერი: - ტრაგედია იმაში მდგომარეობდა, რომ უკვე შეეჩვია და ვეღარ წაროედგინა სხვა გარემოსთან ადაპტირება თუ რაღაც სხვა?...

რესპონდენტი: - არ ვიცი. ალბათ, მიეჯაჭვა და თან ოთახზე, გადაადგილებაზე უნდა ეზრუნა. კარცერიდან უნდა გამოსულიყო. ზოგადად "შინ შრომის" ფენომენს თავისი სპეციფიკა აქვს, მინუს–პლიუსები, როგორც ყველაფერს, მაგრამ რატომ მოიფიქრა სამყარომ, ცივილიზაციამ რვასაათიანი სამუშაო დღე? და არა 24/7? ჩემთვის არის აბსოლუტურად წარმოუდგენელი – წლობით ცხოვრობდე ერთგან, გარეთ არ გადიოდე და მხოლოდ სამ ხეს ხედავდე ფანჯრიდან და, ესეც იყოს იმ სახლის ეზო, სადაც მუშაობ. ადამიანს იმდენად უვითარდება ღრმა მიჯაჭვებულობა, სხვაგვარი ცხოვრება უკვე ვერ წარმოუდგენია.

ინტერვიუერი: - მისი ცხოვრებით ცხოვრობენ რეალურად...

რესპონდენტი: - ჰო, ცხოვრობენ და თავიანთი მე აღარა გაქვს. ბევრი ვიცი, ვისაც კომპიუტერიც არ ჰქონდა და, ასე ვთქვათ, ფიზიკურადაც ვერ ხედავდა თავისიანებს სკაპით. როგორც კი სკაიპის ჩართვის საშუალება გაჩნდა და ჩემები ვნახე, ოდნავ მომეხსნა სტრესი. ცხადია, ეს ვერ აანაზღაურებს რეალურად ერთად ყოფნას, მაგრამ, არიან ადამიანები ვისაც მარტო ტელეფონი ჰქონდა და შვილებს მხოლოდ ხმით სცნობდა. სულ ვწერდი ამ თემაზე და მერე, როცა სოციალური ქსელები გაჩნდა, მითუმეტეს ეს თემა პრევალირებდა ჩემს ფბ სტატუსებში. დღეს ეს თემა მექსიკიდან შემოსულების სიმრავლის გამოც გახდა აქტუალური. ქალები, კაცები საზღვარზე ხვდებიან ბანაკებში, ციხეებში. ამერიკის ტერიტორიაზე კი სხვა ისტორია იწყება. ფეხებზე და ხელებზე ბორკილდადებულების. ეს არის წარმოუდგენელი სტრესი, ოცნებობენ იმაზე, რომ ვთქვათ სადღაც ანუ მოხუცთან, ბებიასთან", "ბაბუასთან", 3-4

წელი, 24/7 ჩაჯდნენ, ფაქტობრივად, აქ მხოლოდ ასე შეიძლება ფულის დაგროვება, იმიტომ რომ ამ არაკვალიფიციურ, დაბალანაზღაურებად სამსახურებში, ცხადია, დიდი ხელფასები არაა. რაც შეეხება ე.წ. ამერიკაში ცხოვრებას: როცა 7 თუ მეტი წელი მოხუცის მომვლელად მისი სახლიდან გამოუსვლელად მუშაობ, სოციალური ცხოვრების ელემენტარულ უნარ–ჩვევებს კარგავ. შეიძლება ავტობუსში ვერ ავიდეს და ვერ იკითხოს, ინგლისურიც არ იცის, არ შეუძლია საუბარი გარდა იმ მცირედი, ლექსიკური "რეპერტუარისა": Hello, Do you want a breakfast“ და აი ესეთი ელემენტარული რაღაცეები. აი, რა გწამოიწვია საქართველოში დაუსრულებლემა კორუფციამ, ნეპოტიზმმა და ეკონომიკურმა პრობლემებმა. ამ კორელაციას, ბევრი ვერ ხედავს. მეუბნებიან – ეს შენი ფემინისტური ოფოფებიაო, ამ ქალებს მოსწონთ ასე ცხოვრებაო და კარგადაც არიანო. არა მგონია, ეს იყოს ვინმესეული ოფოფები. ეს არის რეალობა. საქართველომ ვერასდროს მოიცალა ადამიანისთვის, მისი უფლებისთვის ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებითვის... არ აქვს მნიშვნელობა ქალია, კაცია, უმცირესობა თუ უმრავლესობა... თან ხელისუფლება ხალხს მოუწოდებს – წადით ამ ქვეყნიდან. გამსახურდიას პერიოდიდან დაწყებული ვიდრე დღემდე, არავის გაუცხადებია – თქვენი ადგილი აქ არაა. მაგრამ დღეს გვესმის – წადით, ზედმეტები ხართ. არადა ხალხი მართლა მიდის და იმიტომ კი არ მიდის, რომ ვიღაცამ უთხრა. იმიტომ, რომ შეუძლებელია ასეთ კორუმპირებულ ქვეყანაში სარჩო-საბადებელი მოიპოვო, ნორმალურად იცხოვრო, ღირსეულად ისე, როგორც ჰომოსაპიენსს შეეფერება.

ამეირკიდან პირველად რომ ჩამოვედი საქართველოში, რაღაცას ვალაგებდი და ვიპოვე დედაჩემის ღირსების მედალი. მას, როგორც უმაღლესი კატეგორიის პედაგოგს, გადაცეს. მაშინვე ფოტო გადავუღე და ფეისბუქზე დადება მინდოდა. დედამ დაინახა, არავითარ შემთხვევაში, არავითარ შემთხვევაშიო, იმიტომ, რომ ეს არის ჩემი სირცხვილიო: მე ამდენი ვიშრომე (დედა 15 წლის ასაკიდან ფორტეპიანოს ასწავლის), ვარ დამსახურებული პედაგოგი, უმაღლესი კატეგორიის, ყველანაირი კრიტერიუმით... კიდე იმასაც ვიტყვი, ლამის ყველა მისი მოსწავლე მისი ნათლული

ხდება. ესეთია დედა და დედაჩემს არ უნდა რცხვენოდეს, რომ მისი პენსია მათხოვრულია. ჰოდა, ამბობს, მრცხვენიაო, იმიტომ, რომ შვილი რომ არ მყავდეს ამერიკაში, რომელმაც თავისი შვილი დატოვა, მე თვეში სამჯერ მაინც მაღაზიიდან საყიდლებით ვერ უნდა გამოვიდეო? მრცხვენიაო... ფოტო არაფრით გადამაღებინა, გიკრძალავო. დღემდე იმასაც ნანობს, ჯობდა მე წავსულიყავიო ამერიკაში და შენ შვილთან დარჩენილიყავიო. ეს არის ბებიის პოზიცია.

ინტერვიუერი: - პირველი გამოწვევები, რაც შეგხვდა, რომ ჩამოხვედი თავის დამკვიდრების პროცესში – გადაწყვიტე, რომ ნიუ იორკში ხარ, უკვე იქ სამსახური იშოვე, აი რა გახსენდება, ყველაზე დიდი გამოწვევა რა იყო, თავი როგორ გაართვი, შენი მოლოდინები, რა იყო აქ რომ ჩამოხვიდოდი რა დაგხვდებოდა და რამდენად შესაბამისობაში იყო ის რეალობა, რომელიც აქ დაგვხდა.

რესპონდენტი: - პირველად, როცა ნიუ იორკში ჩავედი, ცხადია, მეტროპოლიტენ მუზეუმში წავედი. საერთოდ მე თვითონ ბალერინობაზე ვოცნებობდი. ვდგამდი კიდეც ცეკვებს, მეზობლებს ვპატიჟებდი, ჯერ კიდევ როდის გვქონდა ალაფურშეტი (იცინის), დედაჩემი ალაფუშეტით სტუმრებს უმასპინძლდებოდა (იცინის)... ედგარ დეგას ბალერინები მიყვარდა ძალიან, ეხლაც მიყვარს. დეგას ბალერინები, რომ დავინახე მეტროპოლიტენ მუზეუმში, ისევ ვრემლები წამომივიდა (იცინის), გამვლელ – გამომვლელს ეგონა, ფიზიკურად ცუდად ვიყავი და 911 დარეკვას მთავაზობდნენ (იცინის). მოკლედ მაცადეთ, ვუთხარი, ნახატმა რაღაც გამახსენა – მეთქი... იმიტომ, რომ ბალეტი ასოცირებული იყო ჩემს ბავშვობასთან. ბაბუას დავაჯენდი, ჩავრთავდი „მთვარის სონატას“. ბაბუა თითქოს ქორეოგრაფიც იყო და მაყურებელიც. ხანდახან აუდიტორიაში ბებიაც იჯდა, თუ ეცელა. დედაჩემის კაბას ჩავიცმევდი, რომელიც ძალიან ფაშფაშა, პარაშუტივით იყო, სკოლაში "პიკის ქალის" შესრულებისას ეცვა. ჩემთვის ძალიან ბევრი რამ დაკავშირებული იყო დეგას ბალერინებთან. ისევე როგორც ნიგვზიანი ბადრიჯნის ან ხაჭაპურის დანახვაზე (იცინის) ავტირდი, ისე, დეგაზე. ქრონოლოგიურად, "დეგას" ცრემლები უფრო ადრე იყო, ვიდრე – ხაჭაპურის. ახლა

გადამიარა ამ სენტიმენტალიზმის შეტევებმა. ცხადია, ნულიდან ცხოვრების დაწყება გამოწვევა იყო. ამერიკული პერიპეტიებისთვის მოუმზადებელი არ ვყოფილვარ და ჰეპი ენდიანი ჰოლივუდური ფილმებით არ მიკვებია, არ დამჭირვებია მითის დეკონსტრქცია.

ერთხელ საბალეტო სკოლის ბუფეტში მენეჯერად ვიწყებდი მუშაობას. წინ NYU – ს კამპუსის დროშები ფრიალებდა. არ მახსოვს რატომ, მაგრამ ყოველთვის NYU მომწონდა. ჰოდა, ვხუმრობდი, ამიხდა ამერიკული ოცნება, ვარ საბალეტო სკოლაში და თან მშვენიერი უნივერსიტეტის მეზობლად.

ბევრი გაწბილებილია, შორიდან სხვაგვარად ჩანსო, რა ყოფილა ეს ამერიკა და ა.შ. აქ უნდა იშრომო, იწვალო და ბევრ რამეზე უარი თქვა და მხოლოდ საკუთარი თავის იმედი უნდა გქონდეს. ვიცოდი, რომ ბავშვთან ძიძად ვერ ვიმუშავებდი, იმიტომ, რომ ჩემს შვილს ვერ ვზრდიდი და ბავშვის დანახვა ჩემთვის უფრო ტრავმული იქნებოდა, შესაბამისად, უფრო ბევრ ენერგიას წამართმევდა. თუმცა ჩემი განათლებიდან (პედიატრი) გამომიდინარე, არ გამიჭირდევობოდა სამსახურები ოპრატიულად მეპოვა. როცა უჩინარი ხარ, არავინ ხარ, ძალიან ადვილია შენი დაჩაგვრა, საკუთარ უფლებებს ვერ იცავ და თან იცი, ვერავინ დაგეხმარება. ამიტომაც არ მინდოდა დამატებით სტრესი. "ადგილზე" რევოლუციებს არ და ვერ აწყობ. როცა სააგენტიდან არ მუშაობ, ვერავისთან არეპორტებ უფლებების დარღვევას. როგორც ზემოთ გითხარით, ესაა წლობით ცხოვრება უჩინარ არსებად, რომელიც უბრალოდ სამშობლოში ფულს აგზავნის. რეალობის და შესაძლებლობების აღქმამამ თუ გიღალატა, დარჩები უსამსახუროდ, ოჯახი კი – მშიერი. რახან მხოლოდ ბედ–იღბალს ხარ მინდობილი, გხვდება ბევრი ვიგინდარა, რომელსაც რომ არა ემიგრაცია, არასდროს გადაეყრებოდიდი. მეც გადამხდა ე.წ. არც ისე სასიამოვნო ამბავი. ადვოკატმა მითხრა, მიუხედავად იმისა, რომ 25 წელია ამ სფეროში ვარო, ყველა ეროვნების ხალხის "ქეისები" მინახავსო, მაგრამ, აი, ქართველი რომ ქართველს გაუკეთებს, ასეთი ექსტრემალური, ჯერ არ შემხვედრიაო...

საქართველოში, როგორც ზემოვით ვთქვი, ყველა მარგინალურ ჯგუფთან მიმუშავია... არ დამავიწყდება, როცა "ქუჩის ბავშვებთან" ვმუშაობდი, ბენეფიციარი ბიჭი მყავდა, მაუგლი ერქვა. ქუჩაში ცხოვრობდა ის ბავშვი. დაბადების დღე ჰქონდა. მაჯის საათზე ოცნებობდა, საათი ვუყიდე და ვაჩუქე. ჩვენ სხვადახვა ადგილებზე ვჩერდებოდით: დიდუბის მეტროს უკან, დიდუბის ეკლესიასთან და ა.შ. იქ, სადაც ეს ბავშვები იკრიბებოდნენ და დიდუბის მეტროსთან გაკვეთილს ვუტარებდი. გარდა იმისა, რომ მათ ფსიქოლოგიური ტესტებს ვუტარებდი, გასართობებს, სააზროვნო თამაშებს ვთავაზობდი, წერა-კითხვასაც ვასწავლიდი, ჰოდა, მასწავლებლის ფუნქციაც შევითავსე. ერთი გოგონა მეუბნება: ია მასწ, მაუგლიმ ტელეფონი მოგპარათო. ანუ იმ ბავშვს, ვისაც წინა დღეს პატარა ოცნება ავუხდინე, იმან მომპარა. განა გავბრაზდი? ვიცოდი, რომ ეს არ არის მისი ბრალი. აი, ამ კატეგორიის ბავშვს როგორ არ უნდა აპატიო. სხვათა შორის, სწორედ მაუგლის გამო წამოვედი ამ სამსახურიდან. ლამის ყველას თვალწინ ქუჩის მეორე მხარეს მაუგლი მაწანწალა კაცმა დაიჭირა და სექსუალურ ძალადობას უპირებდა. მიუხედავად ომბუდსმინისადმი მიმართვისა, პოლიციელებთან საუბრისა თუ სტატიებისა, ვერაფერს ვერ ვცლიდი და ამ პროექტიდან წამოვედი. ძალადობაგამოვლილ ბავშვს გაცილებით მეტი სჭირდება, ვიდრე ორსაათიანი სააზროვნო ვარჯიშები. ჰოდა, აქ რომ ხვდები ქართველის ისეთ კატეგორია, რომელიც 30 თუ 300 დოლარად სულს გაყიდის, როგორ უნდა აპატიო? ფული გამოცდაა ადამიანის. და ემიგრაციაში – მითუმეტეს.

ინტერვიუერი: - აქ უფრო მწვავედ რატომ შეიძლება იდგეს, რა განაპირობებს ამას?

რესპონდენტი: - არ ვიცი

ინტერვიუერი: - თვითონ ის კატეგორიაა წამოსული, რომელსაც ფული უმაღლესი კატეგორია ჰგონია თუ სხვა მიზეზია?

რესპონდენტი: - როგორც თვითონ ამბობენ, ამერიკელები გავხდითო და შენ, როგორც ჩანს ვერ გახდიო ამერიკელიო. სხვათა შორის, როცა დიდი ხნის წინ დავწერე ფეისბუქზე: ვინც ხართ ქართველი და ფულს ადამიანს სამსახურის მოძიებაში

ართმევთ, თავად ამომშალეთ ფრენდებიდან, ადამაინებად არ გთვლით – მეთქი. და სამსახურის მოძიებაც ამ "აგენტებიდან" რა გგონიათ?... სადღაც გაიგონა მეზობლად ან საავადმყოფოში თავის მოსავლელ ბებიას გაჰყვა, ვიღაცამ ჰკითხა, ხომ არ იცი ვინმე, ვინც შენსავით 24/7 დედაჩემს მოუვლისო და, აი, ასე ნაპოვნი სამსახურიდან "აგენტი" ფულს ართმევს 4–5 თვე უმუშევარს თუ ახალჩამოსულს. და უკვე, როგორც გავიგე, "გადასახდელი" ერთი თვის ხელფასზე ავიდა. აი, ამ კატეგორიის ადამიანებს, რომლებსაც საერთოდ ცხოვრებაში პურის ფული ენატრებოდათ, აქ უცებ, სიტყვაზე ვამბობ, თვეში 3000 დოლარი გაუჩნდათ და ჰომოსაპიენსებობა დაასრულეს. შეიძლება 5 დოლარისთვის ადამიანს ყელი გამოღრნან... ეს ჩემთვის წარმოუდგენელი რამაა. ანუ კრიზისს ხომ გამოექცნენ... კრიზისმა გამოსავალი აპოვნინა, წამოვიდა ამ ქვეყანაში, მაგრამ უარეს კრიზისში აღმოჩნდა, იმიტომ, რო ვეღარ ხედავს "წითელ ხაზებს" და სხვა საქმიანობა ფულის თვლის გარდა აღარ აქვს. როგორც ჩანს ბედნიერებას,სწორედ ეს ანიჭებთ.

მეგობრები სულ მეხვეწებიან წიგნი აუცულებლად უნდა დაწეროო, იმიტომ, რომ იმდენი საინტერესო ეპიზოდი მაქვს მოკლემეტრაჟიანი ფილმისთვის, არაკომიკურ "იმერულ ესკიზებს" გადაიღებდა ადამიანი. თან მძაფრსიუჟეტიანს, კრიმინალური ელემენტებით. ცხადია, სამწუხაროდ. მე არ ვამბობ ამას ნიშნის მოგებით, ან არც სახელს და გვარს ვახსენებ, მაგრამ აქაც პატარა სოფელოვითაა. ყველამ ყევლაფერი იცის. ბევრი ადამიანი შემიძლია ჩამოგითვალოთ, რომელმაც ვისაც ჩააცვა, როგორც ამბობენ, სწორედ იმანვე გახადა. ამიტომაც უკვე ვიძაბები, როცა საქმე ეხება მექსიკის საზღვარიდან თუ ლეგალური გზით შემოსულ უცნობებსთვის რეკომენდაციის გაწევას. ჩემი ნერვული სისტემა ამდენ გაწბილებას ვერ გადაიტანს.

დღეს ბრუკლინში "ჩემი უბანი", ფაქტობრივად, ქართულ უბნად გადაიქცა. თავს უცხოეთში არ ვგრძნობ. ქუჩაში მხოლოდ ქართული მესმის. ფაქტობრივად, ქუთაისში და თბილისში ვარ. თუ დანგრეული მანქანის გარშემო ათი კაცია ჩაცუცქული და არემონტებს, ე.ი. ქართველები არიან. მაღაზიაში გახვალ, ყოველი მეორე ქართველია,

ქართულად საუბრობს ტელეფონზე და ისეთი განცდა მაქვს, რომ საქართველოში მხოლოდ დედაჩემი და ჩემი ძმა დარჩნენ, ჩამოვიყვან და ნოსტალგიასაც წერტილი დაესმება.

ერთხელ მეტროდან გამოსულს, დამირეკეს, ტელეფონზე ვსაუბრობდი, რაღაც მომენტში ვიგრძენი, რომ ვიღაც კაცი აშკარად მომყვებოდა. უცებ მეუბნება, ქართველი ხარ, სიგარეტის ფული გაქნება და სახლში წამიყვანეო. 2–3 წლის წინათ აუცილებლად გავჩერდებოდი, იქვე დავიწყებდი მისთვის ბინის მოძიებას, ტელეფონებს გავცვლიდით, იქნება და სამსახურის შანსი გამოჩენილიყო. მაგრამ ამჯერად ჩემი ნერვული სისტემის დაზოგვის გზით წასვლა გადავწყვიტე. ვუთხარი, რომ სამწუხაროდ, ვერ დავეხმარებოდი, მაინც გამომყვა და სახლამდე რომ მივედი, არ შევედი, სახლს წრე დავარტყი და მაინც არ მშორდებოდა. არც ისე კარგი ამბები ხვდებ ყურს და ამიტომ, რისკზე არ წავედი. მერე გაფრთხილება იყო, საფოსტო ყუთზე თქვენი ქართული გვარ–სახელი მოხსენითო, ქართველები ქართველებს ქურდავენო. ლუკამ მოხსნა ჩემი სახელი და გვარი და მხოლოდ ბინის ნომერი დატოვა. ვერ წარმომედგინა, თუ ამგვარი დრო დადგებოდა...

ცხადია, აქ ეგზისტენციალური პრობლემებს, თვითრეალიზების პრობლემა ემატება და იმთვითვე გიმძაფრდება უკმაყოფილება, რომ იმას ვერ აკეთებ, რასაც საქართველოში აკეთებდი, ვგულისხმობ პროფესიასა და საზოგადრობრივ ცხოვრებას. ცხადია, ფიქრობ, საქართველოს უფრო ვჭირდები, ვიდრე – ამერიკას. მე რომ არ ჩამოვსულიყავი ამერიკაში, დიდად ეს ქვეყანა არ მომისაკლისებდა. ვთვლი, რომ ეს ჩვენი თაობა დაკარგული თაობაა, ეგ კიდევაც ვთქვი ქართველი მხატვრის ანგელინა დამენიას მაგივრად ერთ–ერთ ამერიკული არტჟურნალის მიერ მოწყობილ საღამოზე. მისი პრიზი მე ავიღე პრიზი, ტელევიზიაშიაც აღმოვჩნდი და ექსპრომტად სიტყვაც ვთქვი, ავატირე და ავაცრემლე აუდიტორია (იცინის). ზუსტად ეს ვთქვი, რო ჩვენ ვართ დაკარგული თაობა, რომელმაც გამოიარა 9 აპრილი, სამოქალაქო ომი, ჩეჩნეთის ორივე

ომს მე ჩემ ომად ვთვლი... აგვისტოს ომი... ყველანაირი უბედურება, ემიგრაცია, დაუსრუებელი პრობლემები.

ჩვენ ვართ ჩვენ შემდგომი თაობისთვის კარგი გაგებით სასუქი – ჩემს შვილს არ უწევს საყოფაცხოვრებო პრობლემებზე ზრუნვა. ლუკამ სამი წლის წინ აიღო მწვანე ბარათი – "ტოეფელი" ჩააბარა, აქ ჯარში იმსახურა, მუშაობს, სწავლობს ტექნოლოგიურ კოლეჯში, 18-20 წლის წინ, განაკუთღებით მარტო ჩამოსულებს ამის საშუალება არ ჰქონდათ, რაგდანაც ელემენტარული ყოფითი პრობლემების გადაწყვეტა უხდებოდათ თუ აქ თუ ოკეანის გადაღმა...

ძალან ბევრს რომ ჰგონია, რახან ამერიკაში ხარ, უფ, რა გიჭირს, კაცო... მაგრამ ამერიკაში რომ ცხოვრობ ხომ ჩვეულებრივად ვცხოვრობ, ქირას იხდი, საქართველოში ქირას მაინც არ ვიხდიდი. გჭირდება ინტერნეტის ფული, ჭამ – სმა, ... საქართველოში რატომღაც ისეთი განცდაა, რომ რახან შენ ამერიკაში ხარ, შენ მარტო ჰაერით იკვებები. წარმოუდგენელი სტერეოტიპები არსებობს აქაურ ცხოვრებაზე.

ინტერვიუერი: - მაინც ინარჩუნებ პროფესიას, ასე თუ ისე წერ ამდენ სტატიას.

რესპონდენტი: - ეს ჩემი პროფესია არ არის(იცინის). წერი**ს სიხ**შირე კი მხოლოდ ჩემზეა დამოკიდებული, მე ამაში 18 წელია ჰონორარი არასდროს ამიღია. ძალიან ხშირად, განსაკუთრებით ახალჩამოსული რომ ვიყავი და გაიგედნენ ექიმი ვარ, ნიუ იორკის, კონექტიკუტისა და ნიუ-ჯერსის შტატებში მაცხოვრებლები მირეკავდნენ, ყველაფერი ვიყავი გინეკოლოგიც, სტომატოლოგიც, პულმონოლოგიც, ნეფროლოგიც. მერე ვფქრობდი კიდევ, ნეტა ტელეფონი ხომ არ გამოვცვალო-მეთქი, (იცინის). ვეუბნები, რომ ფსიქიატრი ვარ, მაგრამ მაინც ტელეფონიდან – საერთოდ უცნობი ადამიანებიდან – წელი, გული, კუნთი მტკივა, იმდენი სასაცილო ისტორიები მაქვს გასახენებელი ამ ყველაფრისტობასთან დაკავშირებით (იცნის). ერთხელ, შუა ღამეს მეგობარი მირეკავს, გეხვეწები დამეხმარეო, ახლობელი ქართველი ძალიან შორ კონექტიკუტშიაო, მისი ბებია ჰოსპისზეაო და მორფინს აწვეთებსო. მას კი თავადაც თვალები ტკივა და... წვეთები აერიაო, მორფინი თვალში ჩაიწვეთა თვალის წვეთების

მაგივრადო, დაბრმავდაო, რაღაცნაირად შეძლო, დამირეკა, კივის–წივის ბოლო ხმაზე, მიშველე, ვინმე ქართველი ექიმი იქნებ იციო და დამეხმარეთ, ვბრმავდებიო. მეგობარს ვუთხარი, მომეცი ტელეფონი, მე დავურეკავ, მე გამოვართმევ მისამართს და გამოვიძახებ სასწრაფოს–მეთქი. არა, გეხვეწებიო, არ უნდა სასწრაფოო, მასე მეც ხომ გამოვიძახებდიო, საბუთები არ აქვს, ეშინიაო, პოლიციას არ შეატყობინოს სასწრაფომო და თან უზარმაზარი თანხა მოვა გადასახდელიო. მე ვუთხარი, არ გააცხადებს არავითარ შემთხვევაში, ნუ ეშინია მეთქი, აუცილებლად დაეხმარებიან. და თან ვფიქრობ, ქალი თვალს კარგავს და თან ნერვიულობს, ფასს ვერ გადავიხდიო, გეხვეწები გადამარჩინე და დაელაპარაკეო, მოკლედ ამ ქალს მე თვითონ დავურეკე, კივის ბოლო ხმაზე, მიშველეთ!, ვიცი რო შენ ექიმი ხარ, ვეუბნები ქალბატონო ფსიქიატრი ვარ, მომეცით თქვენი მისამართი, მე შემიძლია ნიუ-იორკიდან გამოგიძახოთ სასწრაფო, არ ინერვიულოთ, აი გარანტიას გაძლევთ არანაირი პრობლემები საიმიგრაციოსთან არ შეგექმნებათ, მაგრამ, აი, თქვენს ოჯახს ნამდვილად შეექმნება პრობლემები, იმიტომ, რომ სამსახურში ყოფნისას მომვლელი დაბრმავდა (ვატყვილებ, იქნებ დავითანხმო). არა, მიშველე! კივის ბოლო ხმაზე და ამ საუბარში უცებ მოვიფიქრე ხერხი გადარჩენის – ვინმე თუ გყავთ ალხობელი ახლახანს გარდაცვლილი, შეგიძლიათ გაიხსნოთ და კარგად ატირდეთ – მეთქი? ვერ ვტირივარო, ვერ ვგრძნობო ვერაფრსო. კარგით მეთქი, იქნება ხახვს მიაგნოთ, გაფცქვენით, გაჭერით და თვალებში ამოისვარეთ-მეთქი ხელი (იღიმის), ვინც მოგიკვდათ, არ მოგიკვდათ, ყველა გაიხსენეთ, დაიწყეთ ტირილი –მეთქი... ჯერ ვერ გაიგო რა შევთავაზე და მერე დამიჯერა, ზუსტად 1 საათში მეგობარი მირეკავს, რაც შენ გლოცაო ამ გოგომო, გადამარჩინაო, მხედველობა დამიბრუნდაო, მაგრამ თავიდან რატომ მოიტყვილაო, რომ ფსიქიატრი ვარო, თვალის ექიმი ყოფილაო. (იცინის). აი ამდაგვრაი რამდენი ეპიზოდი ვინ მოთვლის,

როცა გამოუვალი მდგომარეობაა, რაღაცანაირად მობილიზებას უკეთებ შენს თავს, რომ იმ მინიმალური რესურსიდან, რაცაა ხელქვეშ, გამოსავალი იპოვო. ვთქვათ, ხომ არ დაიწყებ დაგუგვლას და კიდე გადარეკვა–გადმორეკვას, როცა ცაიტნოტია,

რანაირად შეიძლება დაეხმარო ადამიანს, სად განათავსო, კოსმოსური სიჩქარით იწყებ ფიქრს. რამდენჯერ ყოფილა, მოსავლელ, ალცჰაიმერიან ანდა არაალცაიჰემერიან მოხუცს ღამე მომვლელი სახლიდან გამოუგდია და მას კი ნიუ ჯერსის ტყეში გაუთენებია, იმიტომ, რომ ტელეფონის აღება ვერ მოასწრო. ნიუ-იორკში კი, სადარბაზოში მაინც ჩახვალ ანდა ნაცნობი ერთ ღამეს გაგათენებინებს... რასაკვირველია, თუ ისიც სახლშია იმ დროს.

წარმოიდგინეთ თებერვლის სუსხი, ყინავს, გარშემო ტყე და დათვიც შეიძლება გამოძვრეს საიდანღაც... ჰოდა, წარმოიდგინე ასეთი ადამიანი გირეკავს, მოხუცმა გამომაგდო, სად წავიდე, ნაქირავები ბინა კი არა, არც ოთახი და არც ადგილი ოთახში აქვს. სად უნდა წავიდეს, ტაქსის ფულიც არ აქვს, იმიტომ, რომ წინა დღეს საქართველოში გააგზავნა ყველაფერი, რაც გმოიმუშავა. არაფერი დაიტოვა, იმის იმედად, რომ ერთი კვირის თავზე ხელფასი ექნება. ანუ რა უნდა გააკეთო ამ დროს? ვთქვათ, დილის 3 საათია, აღვიძებ ყველას, იწყებ ძიებას სად შეიძლება განთავდეს, ვინმე ახლობელი ხომ არ არის, მანქანიანი ხომ არ არის ვინმე, რომელიც მიიყვანს ამ ადგილამდე. მისამართითაც შეიძლება ვერ მიაგნოს ვინმე კეთილისმყოფელმა. დიდი ხნის წინანდელს გიყვებით, მაშინ ჯიპიესები და გუგლმეფები არ იყო. ასე "ტყეში", როგორც ჩვენთან იტყოდნენ "რაიონული ცენტრებიდან" ძალიან მოშორებით მომუშავე ქალებისთვის პრობლემა ისიცაა, რომ, ფაქტობრივად, ცხოვრობენ ავადმყოფთან ერთად მარტო, მოხუცის ოჯახის წევრი კი შეიძლება ცხოვრობდეს ამერიკაში, მაგრამ მშობლისგან 6 საათის ფრენის მანძილზე. შეიძლება მადლიერების დღეს ან ახალ წელს ჩამოვიდეს და ისიც – ვერ. ანუ ესაა მარტოობის რეალური სურათი. ოჯახის წევრი, რომლის ქმარს, მშობელს აქვს ალცჰაიმერი, მომვლელს ტელეფონით ან ვიდეოთვალით აკონტროლებს. ცხადია, ამგვარად ცხოვრებას თავისი შედეგი აქვს. ადამაინები ძალიან ხშირად ხდებიან ასოციალურები, დეპრესიულები, კომუნიკაციის, კონფლიქტის გადაწყვეტის უნარებს კარგავენ. ის, რაც საქართველოში იცოდნენ, კარგავენ. ის, რასაც სოციუმი გაძლევს, შეიძლება დაკარგო. ოჯახი, სამსახური, სოციალური გარემო, თანამშრომლები, ინსტიტუტი, მეუღლის ოჯახი – წყდები ამ

ყველაფერს და ცხოვრობ მარტო განდეგილი ან დაყუდებული ბერივით, ეს ყველაფერ ნერვული სისტემას ფიტავს. განსაკუთრებით, უჭირთ მამაკაცებს. აქ უკვე ნარკოტიკების თემაცაა. ეს არ არის ნერვული სისტემის ერთი თვის გამოცდა, გითხარით ზემოთ, 11 წელიც შეიძლება გასტანოს. ეს არის, ფაქტობრივად, ცნობიერების და ტვინის ფუნქციების ცვლილება, ანალიზის, სინთეზის უნარის დაქვეითება, ლოგიკური აზროვნების პრობლემები, ხშირად მსჯელობაში შემიტყვია ამგვარი "ჩავარდნები", წაკითხულიდან, გაგონილიდან აზრის გამოტანა უჭირთ და ეს ამათი ბრალი არ არის, არც მათი IQ-ს ბრალია, ეს არის იმ არაცივილიზირებული, არაჰომოსაპიენსური, არაკრეატიული გარემოს ბრალი, მაგრამ მას ხომ უკვე "არჩეული" აქვს თავისი გზა, პრიორიტეტია ოჯახის კეთილდღეობა, თითოულ შვილს და მერე შვილიშვილებს თითო "გაბრდღვიალებული" ბინა და საქორწინო მოგზაურბები ბალიზე. ერთი ქალი ვიცი, როგორც კი წავიდა ოკეანის გადაღმა საშოვარზე, სამივე ვაჟმა ცოლი სამ თვეში მოიყვანა. დღემზე არცერთი მუშაობს, მხოლოდ ერთი რძალია დასაქმებული. ახლა შვილიშვილები დაქორწინდნენ. ჰოდა, უკვე წესია, ყველა ამ ქალის გამოგზავნილს ელოდება და ის კი აგერ 27 წელია აგზავნის და აგზავნის. ადრე "ამაყობდა" ჩემთან საუბრისას, რომ ბების ნაქონ სანდლებში დადიოდა. და ასე დასეირნობს "ბებია–ბაბუის" სახლებს შორის და ისე ცხოვრობს, რომ ქირა არასდროს გადაუხდია. მისი სასაუბრო თემაა – მოსავლელის ჯანმრთელობა და კუჭის მოქმედების განრიგი. მანამდე ცოტა ხნით საბერძნეთში მუშაობდა. საბუთები არ გააკეთა, ახლა 65 ისაა და ამბობს, კიდე 5 წელი გავჩერდები, უმცროსს აგარაკი უნდა ვუყიდოო, არ დამეჩაგროს უაგარაკოდო.

ინტერვიუერი: - შესაბამისად საქართველოშიც ვერ მიდიან.

რესპონდენტი: - ვერა, ვერა... რანაირად წავლენ? იმიტომ, რომ იქ შვილიშვილი, მერე იქ სახლი აღმოჩნდა გასარემონტებელი, მერე იქ ბავშვი ძალიან კარგ კერძო სკოლაში მისაყვანი, მერე იქ ტყუპები გაუჩნდათ, მერე იქ სახლში ჭერში წყალი ჩამოვიდა და გამოსაცვლელია კაფელი აბაზანაში და, აი, ეს "სარემონტო ამოებათა ბაზარი" არ

მთავრდება და არც არასდროს დამთავრდება. და არც შვილები ეუბნებიან, ჩამოდი, დროა, საკმარისია!

ზოგადად ყოფითი პრობლემები ისეთი რამაა, მართლა არასდროს მთავრდება. ყოველთვის იქნება ონკანი გამოსაცვლელი და ყოველთვის იქნება კაფელი ამოტეხილი. არ დამავიწყდება, 17 წლის წინ ერთმა ნაცნობმა ქალმა დამირეკა (ინტრენეტი არ ჰქონდა და არც კომპი. ოჯახს არ ჰქონდა ინეტი) და მკითხა (ადრე უფრო ვეხმიანებოდი, ახლა – არ მაქვს სირვილი): როგორ ფიქრობო, აი, ჩემებმა გადაწყვიტეს, რომ იყიდონ ძალიან კარგი სამილე გარნიტური და ნორმალური ფასია 20 000 $ ღირდესო? რა ღირს– მეთქი? – გამიკვირდა. 20 000–იო, გადავირიე. ლამის თქვენი ერთი წლის შემოსავალია – მეთქი... მომეცით ბრენდის სახელწოდება, დავგუგლო მეთქი. ვერ გაიხსენა, რაის 20 000$ მეთქი, ლია დეიდა, ერთოთახიანს იყიდით ამ ფასად დიღომში. არაო, აი, ეს უნდათო. ეჭვი მეპარება, რატომ მაინც და მაინც ასეთი შეარჩიეს? კბილის ექიმთან ვერ წასულხართ – მეთქი. მცირედი შელაპარაკებაც მოგვივიდა, აწგარდაცვლილის სანდლებში ზამთარ–ზაფხულ როდემდე უნდა იაროთ – მეთქი! ვაიმეო, ოღონდაცო ამან იცოცხლოსო, ოღონდაც ეს კარგად მყავდესო, ყველაფერს შევძლებო. ცხადია, მოსავლელ ბებიაზე იყო საუბარი...

ინტერვიუერი: - ცხოვრება გარანტირებული ჰქონოდა.

რესპონდენტი: - კი. ჩემი მეგობარი აქ 25 წელია ვირივით მუშაობს, ერთ-ერთი ნათესავი ჩამოუვიდა საქართველოდან და მასთან ცხოვრობდა დიდ ხანს, სანამ "მაღალანაზღაურებადს" იშოვიდა. და უკვირდა "აიკეას" ავეჯი რატომ გაქვსო?

ინტერვიუერი: - მაინც სხვანაირად ჩანს აქაური ცხოვრება, მაინც ამერიკული ცხოვრება ჰგონიათ...

რესპონდენტი: - არ არის აქ, ცხოვრება გლამურულად ცხოვრების სინონიმი და ჰოლივუდის ფილმებში ბევრლი ჰილზე სახლების დიზაინის შოურუმი. არადა 24/7 მომუშავე ქართველები ხშირად "იგონებენ" ან სხვის გასაგონად ამბობენ – მე

ამერიკული ცხოვრებით ვცხოვრობო. რაც თაიმს სქვერზე ერთხელ გადაღებულ და ფეისბუკზე დადებულ ფოტოს არ ნიშნავს. ამერიკული ცხოვრებაა, როცა შენ ტოვებ შენი სამსახურის პრობლემებს სამსახურში, არა აქვს მნიშვნელობა დაბაკვალიფიციურია თუ მაღალ, მოდიხარ სახლში, ხარ შენ ოჯახთან, სახლიდან რაიმე საინტერესო საღამოზე ანდა დაბადების დღეზე მიდიხარ, წიგნს ან ფილმს არჩევ მეგობრებთან ერთად, გაქვს სოციალური ცხოვრება და შიგადაშიგ ამოწმებ სახლის ყიდვისა და შვილისთვის "ვესთ პოინტში" სწავლის შესაძლებლობას. ესაა, ამერიკული ცხოვრება და შვედური ცხოვრებისგან დიდად არაფრით განსხვავდება.

ინტერვიუერი: - ქართულ რეალობას თუ შეადარებ, მითუმეტეს, ჩადიხარ კიდევაც საქართველოში, აი, რა განსხვავებაა, რა მსგავსებებია და რა განსხვავებაა ყოველდღიურ ცხოვრებას თუ დავადარებთ.

რესპონდენტი: - როცა საქართველოში პირველად ჩავედი, ჩემსთვის ძალიან თვალშისაცემი იყო ამდენი სათვალის მაღაზია – ოპტიკა, ოპტიკა, ყველგან, ყოველ ფეხის ნაბიჯზე სათვალის მაღაზია მხვდებოდა. ეს ხუმრობით, მერე ვამბობდი, რომ რეალობის ადეკვატურად აღსაქმელად ამდენი სათვალე ერთ სულ მოსახლეზე მაინც არ გვშველის – მეთქი და ნეტავ რა სათვალეები უნდა გამოიგონონ "ოფთალმოლოგებმა", რომ რეალობის დანახვა დაგვიბრუნდეს თუ გაგვიუმჯობესდეს... აღარ ვიცი, უკვე. ჩასვლის პიველ დღესვე რაც შევნიშნე იყო ის, რომ ჩემი ქუჩა იყო დაცარიელებული. დედაჩემს ჰქონდა ჩაბარებული რამოდენიმე სახლის გასაღები. მაშინ ფეხბურთის ჩემპიონატი იყო და ბავშვობაში ყველა ფანჯრიდან ისმოდა ... გოლ! მიდი, ბიჭო! და ახლა ყველაფერი ჩაბნელებული იყო. მერე მინდოდა დამეჭირა, ქუჩაში შემთხვევით შემხვედრთა სიტყვები. ძირითადად იყო: ლარი, ლარი, ფული, ფული, დოლარი, დოლარი... ფული, ფული, ლარი, ლარი, იშვიათად – ევრო. პატარა ბავშვიდან, ვიდრე უფროსამდე და მართლა გადავირიე. ბავშვობა ჩემთვის ასოცირებული არიყო გაუთავებლად მანეთებსა და კაპიკებზე

საუბართან. ყოველ მეორე სიტყვა კი არა, საერთოდ არ იყო ჩემს ლექსიკონში სიტყვა "ფული".

რომ ჩავედი, თბილისს თითქოსდა "არა უშავდა", ქუთაისი კი იყო აბსოლუტურად აპათიური, მიძინებული, მკვდარი ქალაქი და უცებ,ლამის ცენტრში წარმოუდგენალად გრანდიოზული სამორინე „პრაღა“... თევზეულის მაღაზია "ოკეანეს" ადგილზე. ეს სამორინე ქუთაისისთვის ისეთი არაადეკვატური წარმონაქმნი იყო, აღვშფოთდი კიდეც და დავსევდიანდი. თბილისს რაც შეეხება, თბილისში მეგობრები მოდიოდნენ, რომლებიც მეტ-ნაკლებად სამსახურში დაკავებული არიან და მეტ-ნაკლებად აქვთ თავიანთი შემოსავალის წყარო. თუმცა, თითქმის ყოველი ოჯახიდან ვიღაც მაინცაა საზღვარგარეთ. ჩემი ჯგუფიდან ექიმად ნახევარზე ნაკლები მუშაობს. ქალაქი გადატვირთულია ბეტონით, რომელიც არც დუბაის ჰგავს და... არ ვიცი რას ჰგავს...

სულ ამას ვამბობდი, რომ ეს შენობები, რომელთა შორის დაშორება არის 3მმ, შენდება ამერიკაში წამოსული ადამიანების ფულით, იმიტომ, რომ ვერ ხედავს ადამიანი სხვა სფეროში დაბანდების შანსს – გარდა უძრავი ქონებისა. 20 წელი რო მუშაობ ნიუ ჯერისიში, ისე, რომ ერთადერთი ადგილი, სადაც გადიხარ, ქართული რესტორანია, 6 ბინა იყიდე და გაარემონტე–გააწყვე, კიდე მეშვიდეზე რომ ფიქრობ... ანუ ზოგი ქართველი უძრავი ქონების ფანი კი არ გახდა, უბრალოდ, არ იცის სხვა რაში უნდა დააბანდოს. წარმოუდგენელი ხდება ინვესტიცია საქართველოს განათლებაში, საწარმოებში, ბიზნესში – ღვინის ან ვენახების გაშენებაში. უბრალოდ არჩევანის თვალსაწიერიც იმდენად შევიწროვდა, რომ ადამიანი ვერ ხედავს პერსპექტივას, გარდა იმისა, რომ აშენოს და აშენოს ბეტონის ბლოკები და ეს დაუტოვოს თავის შთამომავლობას. ჰო, მომვლელად მომუშავე, ფიგურალურად რომ ვთქვათ, სოტბის აუქციონზე ვერ იყიდის შედევრს, რომ თავის შვილიშვილს დაუტოვოს. კერძო სამშენებლო კომპანიების გათვლა ემიგრანტებზეა, ადამიანებზე, რომლებიც ახლობლებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი წამლის თუ საკვების

უზრუნველყოფის მერე შემდეგ ფაზაზე გადადიან. თავინათ პროფესიულ ზრდაზე ხაზი აქვთ გადასმული, იმიტომ, რომ აქაური დიპლომი უნდა გქონდეს, რომ განათლების შესაბამისი პროფესია გქონდეს. და გარდა ამისა, იმდენად სტრესულია გარემო, თან შენი ინგლისურის ცოდნა თუ შეზღუდულია, ვერც ამერიკელ კოლეგასთან ვერ იმიუშავებ თუნდაც გაგიმართლოს და ოდნავ ასცდე დაბალკბალიფიციურის დონეს. იმიტომ, რომ სხვა საკომუნიკაციო ველია და ამიტომაც ისევ ურჩევნიათ ის მოხუცებული, რომელიც ბევრს არ ლაპარაკობს და რომელიც ისე შრომობდა, რომ მოხუცებულობა უზრუნველყოფილი ჰქონოდა და კერძო მომვლელის დაქირავება შეძლებოდა. ამერიკელი 24/7 სამსახურებში არ მიდის. ამერიკელს ჰყავს ოჯახი, კარიერა აქვს და თავისი ბიზნესი და უნდა რომ თავისი შვილების და შვილიშვილების გაზრდას, წინსვლას, სკოლა–კოლეჯ–უნივერსიტეტის დამთავრების ცერემონიას დაესწროს, ჩააკითხოს და წელიწადში ერთხელ მაინც იმოგზაუროს ოკეანის გაღმა, ან დაისვენოს იაფად მექსიკაში, საიდანაც მექსიკელები გამორბიან.

რა არის ამერიკული ოცნება? კარგი სახლი, ბანკის სესხის დროზე გადახდა, კარგი მანქანა, შვილებისთვის პრესტიჟული კოლეჯები. ყოველ შემთხვევაში საშუალო ფენისთვის ესაა პრიორიტეტი. ცხადია, ადამიანის უფლებები უნდა იყოს დაცული. თუ ვერაა დაცული, სასამართლოზე სახაზინო ადვოკატი დაიცავს. მაგრამ უკეთესია შენ გქონდეს იმის საშუალება, რომ შენ კარგი ადვოკატი აიყვანო და დაიცვა შენი თავი. მე მაინც ჯერ კიდევ ბავშვობიდან მიამიტურად მეგონა, რომ ამერიკული ოცნება თანასწორობა, კანომდებლობის ხარვეზების გამოსწორებისთვის ბრძოლა და ნაკლები მატერიალიზმი (იცინის). ამერიკა არაა ჯენის ჯოპლინის სიმღერები. როგორ არ უნდა იცნობდე ამერიკულ ცხოვრება, რომ ასე არ ფიქრობდე (იცინის); არ იცნობდე მის სპეციფიკას და ამიტომაც იდეალისტური შეხედულებები გქონდეს. ამერიკა არ არის მხოლოდ New School-ის აუდიტორია. აქ აბსოლიტურად სხვა ღირებულებებია. ერთია, როცა უცხოეთში სასწავლებლად მოდიხარ და მეორე – როცა აქაური რუტინით ცხოვრობ. ჩემს თავზე მაქვს გამოცდილი ეგ ფუფუნება. შვედეთში ერთ-ერთი ყველაზე

კარგი და საჭირო გამოცდილება მივიღე ვალენბერგის ინსტიტუტში – არაფერი არ გადამიხდია, იყო გრანტი და მხოლოდ სწავლა მეხებოდა. ეს არის საჩუქარი... და მეორეა, როცა ე წ. არასასწავლო პროცსს, მსხვილმან –წვრილმანის მოგვარებას დიდი ენერგია მიაქვს. შარშან ხუთსულიანი ქართველების ოჯახისთვის ერთოთახიან ბინას ვეძებდით – სამი მცირეწლოვანი ბავშვით არიან. საქართველოში რაც ებადათ მათ და მათ წინაპრებს, გაყიდეს და ამ ფულით ჩამოვიდნენ. ბინა ვერაფრით ვიპოვეთ (რადგან კრედიტ – ისტორია არა აქვთ). ძლივს ვიპოვეთ ბროკერი, რომელმაც თავისი მომსახურებისთვის აიღო ბინის სამი თვის ქირა (არადა ნორმა – ერთ თვის საფასურია). არ გაინტერესებთ რა რაოდენობის დეპოზიტი გამოართვა ლენდლორდმა? ათი თვის დეპოზიტი. არადა, წესით,დეპოზიტი – ერთი თვეის ქირაა მხოლოდ. კი, კანონის დარღვევაა, მაგრამ ვერ ამოიღებ ხმას. ისეთი მოთხოვნაა ნიუ იორკში ცხოვრებაზე, ისეთი სიმჭიდროვეა, ფიზიკურად აღარ არის ამდენი ადგილი. სხვათა შორის, ერთხელ New York Times- ში სტატია იყო, ტროტუარზე როგორ ვერ ეტევიან ფეხით მოსიარულეები. კომფორტის ნორმები კი არა, სანიტარული ნორმებიც ვერაა დაცული. საყოველთაო აღწერაში მეც მივიღე მონაწილეობა მაგრამ, იქ არ ჩანს შარშან, როგორ ამბობენ, მექსიკიდან 100 –120 000 შემოსული ქართველი. თავი რომ დავანებოთ ქვეყნის სამხრეთის საზღვრის დაუცველობას, ჩამოსულები რა პირობებში ცხოვრობენ, მარტივი არაა აღსაწერად და როგორც წესი, ისინი კეთილი უცნობების იმედად.

ინტერვიუერი: - თუ არსებობს რამე მექანიზმები, რომ დაეხმაროთ ახალ ჩამოსულებს?

რესპონდენტი: - მექანიზმი არ არსებობს, ერთადერთი რაც არსებობს, რომ იქნება შეძლონ და თანხით ჩამოვიდნენ. თუ არადა აქ არის თავშესაფრები, სადაც ცხოვრებას არავის ვურჩევ.

ინტერვიუერი: - დიასპორული ცენტრი ან რამე ორგანიზაციულად, ინსტიტუციურად თუ ფუნქციონირებს

რესპონდენტი: - არა. განთავსება თანხასთანაა დაკავშირებული. უფრო ქალაქის მერია ათავსებს და ისიც, დროებითია, რამდენადაც ვ ადგილები არაა. აქ, ფაქტობრივად,

კეთილი ადამიანის, ნაცნობების იმედად ხარ. ვაფრთხილებ ყველას, რომ არავინ წამოვიდეს სანდო ნაცნობის ან მეგობრის მისამართის გარეშე, სადაც შეიძლება ღამე გაატაროს. შარშან მთელი ზაფხული ქართველებს Brighton Beach-ზე და ბრუკლინის სკვერ–ბაღებში ეძინათ. ფოტოცა მაქვს. მეტროს ვაგონში როგორ სძინავს ქართველს და თან აცვია "მე მიყვარს (გულის ფორმის ნიშანი) ნიუ იორკი". იერით მივხვდი, რომ ქართველია. ყოველთვის ვხვდები, რომ ქართელია. რა მანძილითად არ უნდა იყოს ჩემგან დაშორებული – სიარულით, ჩაცმით, სახის გამომეტყველებით, ჩაცუცქვის მანერითაც კი. ადრე ვერცხლისფერი ფოლგის საბნები ვიყიდე, აი, მექსიკის საზღვრზე დაკავებულებს ბანაკებსა და ციხეში განთავსებისას რომ აფარებენ. ყოველთვის თან დამაქვს. ათი ვიყიდე, ორი დამრჩა. ჰოდა, ვზივარ ვაგონში, დარეკა ზარმა, გაეღვიძა და ქართულად უპასუხა. მივედი, მივაწოდე ეს "საბანი", დაიფარე, ზამთარი მოდის – მეთქი. კი მადლობაო, მაგრამ იქნებ ფული მომცეო. "ქეში" არ მქონდა.

განა ნამუსს ვიმშვიდებ, მაგრამ ამ დონეზე მაინც დავეხმარო, ვიფიქრე. მაგრამ რამდენის დახმარებას შეიძლება დაწვდეს ადამიანი? ან როგორ? ერთი ბიჭი იყო, რომელსაც ზურგჩანთაზე ეძინა ქუჩაში, სამრეცხაოსთან. ზაფხული იყო, ქართული დროშა ჰქონდა მაისურზე. ამომხედა, მადლობა გადამიხადა, რამდენჯერმე მეტროსთან ქაართულად საუბრობდით, დამამახსოვდრითო... ჰოდა, ვის როგორ შეუხლია, ეხმარება. უპირველესი პორბლემა არის განთავსება, მერე სამსახურის შეთავაზება. მამაკაცებისთვის ჰირს სამსახურები. ოჯახს კაცის მომვლელად ისევ ქალი ურჩევნია. ამ პრობლემას ემატება ნარკომანიის საშინელი ტალღა და "კონი აილენდის" ჰოსპიტალის მორგი, განსაკუთრებით შარშან ზაფხულში იყო კატასტროფა. ამ წამადამოკიდებუილებს არ აქვთ იმის საშუალება, რომ იყიდონ სუფთა ჰეროინი. ფაქტობრივად, მკვლელი–ბარიგებისგან ე.წ. ავღანურს თუ რაღაც ჯანდაბას ყიდულობენ. მგონი, ლამის გრამის მეათედი 30$ ღირს? არ ვიცი, დანამდვილებით. და მასში 80% "თაგვის წამალია". არ ვიცი, როგორ შეიძლება მათი დახმარება? პოლიციას კი არც ერთი წამადამოკიდებულის სიკვდილი არ გამოუძიებია. არც გარდაცვლილის

მობილური ტელეფონი შეუმოწმებია. მამაკაცები არიან ძალიან მძიმე მდგომარეობაში, თუმცა წამალდამოკიდებული ქალების თაობაზეც მსმენია. მოვლის ინსტიტუტი ტრადიციულად ქალთანაა დაკავშირებული და შედარებით ადვილია მისთვის სამსახურის პოვნა. ქალი ახლობელთან გაჩერდა ანდა ახლობლის ახლობელთან, ერთ ოთახში ძალიან ვიწროდ არიან და ამიტომაც მსპინძელიც ძალიან ცდილობს, რომ სამსახური უპოვოს. მერე მოხუცთან სამუშაოდ – საცხოვრებლად გადადის და როცა თავისიანებს საქართველოში დააპურებს მერე უკვე დაგროვილი ფულით, ოთხსაც/ ბინასაც ქირაობს.

ამ სფეროში გენდერული გადანაწილება ძირითადად მაინც სტერეოტიპულია. მამაკაცი ზოგადად დაკავშირებულია საფრთხესთან, ალკოჰოლიზმთან, ნარკოტიკთან, მარიხუანასა და, სიგარეტის მოხმარებასთან და ა.შ. ეს რეალობა გასათვალისწინებელია. ძაღლების გამსეირნებლები კი ძირითადად, მამაკაცები არიან. ქალი უფრო მოქნილი ხდება სიტუაციისდა მიხედვით. ქალი არ არის დამქირავებლის ოჯახისთვის, თუნდაც რეკომენდატორისთვის ისეთი საშიშროება, როგორიც – მამაკაცი. მაგრამ, აი, ამ გარემოებების თაობაზე რომ ყვები, ფბზე ზოგჯერ აგრესიის სამიზენ ხდები. შენ ხომ ამერიკაში ხარ? და არ გინდა, რომ მეც ვიყოო? ამერიკაში რომ ვარ, იმიტომაც გიხსნი და გიზიარებ ჩემ გამოცდილებას, რომ კულტურული თუ სხვაგვარი შოკების ვადა არ გაგიხანგრძლივდეს.

ჩემს ერთ მეგობართან, მაგალითად, რამდენჯერმე იტალიიდან წამოსული ქართველები გაჩერდნენ, მერე კიდე ორი. მისი ბინა ერთგვარი სადგური– სასტიმროა. მერე იწყება ამერიკული ცხოვრების სოციალური ნორმების ახსნა, ინგლისურის არცოდნის გამო იტალიურ ან ბერძნულენოვანი ოჯახების მოძიება და ა.შ.

ჩემთვის ერთ–ერთი გამოწვევა ისიც იყო, რომ ბოლო თვეების განმავლობაში რამდენიმე ადამიანს გავყევი ადვოკატთან და... თავი ამტკივდა. კიდევ ერთი და იგივე თემის მოსმენა, ახალჩამოსულთან ერთად ამის გავლა მარტივი არაა. ბევრმა რუსულიც არ იცის და ამიტომ მიწევს რუსულიდან თარგმნაც. ენის უცოდინრობისა და

არაინფორმირებულობის გამო რაღაც ხიფათში შეიძლება გაეხვიოს... შარშან, ერთ-ერთ ინტერვიუში, ქართველი არტისტების გამოფენის (რომელშიც მეც ვმონაწილეობდი) ქუთაისის რადიომ "მველი ქალაქი" ჩემთან ინტერვიუ ჩაწერა. იქ მკითხეს თუ რა უნდა გაითვალისწინოს ამერიკაში ახალჩასულმა და ვუპასუზე, აქაური სოციალური ნორმები – მეთქი. მაგალითიც მოვიყვანე – მექსიკიდან გადმოსულმა ერთმა ახალაზრდა კაცმა, რომელიც მუშაობდა გადაზიდვებზე ერთ–ერთ ოჯახში მიიტანა ავეჯი. ბავშვი გამოვიდა, 4 თუ 5 წლის და ამ კაცმა უბრალოდ მას თავზე ხელი გადაუსვა, სადღაც სამ საათში დააპატიმრეს გარყვნილ ქმედებაში ბრალდებით. და ეს იმიტომ კი არ მოვყევი, რომ ვინმე დავაშინო. ინგლისურ ენაზე მეტად აქაური სოციალური ნორმების ცოდნა გჭირდება. როცა ლუკას რუსთაველზე ვიდრე მთაწმინდამდე ვასეირნებდი, უცხოებისგან დაჩქმეტილ–დაკოცნილი ჰქონდა ორივე ლოყა და ცხადია, მე დიდად არ მსიაოვნებდა გამოვხატე კიდეც რამდენჯერმე და უზრდელობა – უმადურობაში ჩამომართვეს. ოცი წლის წინ მართლა არ მიფიქრია, რომ ეს კრიმინალია. ... ნიუ იორკში კი ერთ ციდა ძაღლსაც ვერ მიეფერები პატრონის ნებართვის გარეშე. არა თუ გაბედო და უცნობის ბავშვს აკოცო ან ზურგზე მოუთათუნო. იმ ქართველს ჯერ შოკი დაემართა, მერე ისეთი მენტალური პრობლემა, რომ მისი ჰოსპიტალიზაცია გახდა საჭირო. წარმოდგენას ამერიკაზე ჰოლივუდის happy end-ური ფილმის მიხედვით არ უნდა იქმნიდე. უბრალოდ, იყავი ფრთხილად, მიშტერება, სექსისტური კომპლიმენტი, ბავშვის თავზე ხელის გადასმიდან დაწყებული ვიდრე შოკოლადის მიწოდებამდე, აქ სამართლებრივი დავის საფუძველი შეიძლება გახდეს. აქ ბაღის მასწავლებელს, 65 წლის ქართველ პედაგოგ ქალს გოგონას მშობელმა უჩივლა. იმიტომ, რომ დაინახა, მისი შვილი, გოგონა კალთაში როგორ ჩაისვა, თმები გაუსწორა და აკოცა. ეს ქალი დააპატიმრეს. დიდი ხნის წინანდელი ამბავია... ფსიქოლოგიურ ტრამვაზე უკვე არ ვლაპარაკობ, ასეთ ქეისები აპარტახებს ადამიანის ფინანსურ რესურსს.

უნდა ვიცოდეთ უცხო ქვეყანაში ქცევის წესები და ე.წ. სოცდისტანცირების კანონები და ეს ბევრი გაუგებრობისგან დაგვაზღვევს.

ინტერვიუერი: - აი ქართულ კულტურასთან, საქართველოსთან, რაღაც ფესვებთან კავშირის შენარჩუნების საკითხსაც, რომ შევეხოთ, როგორია, რა პრაქტიკებია: კულტურა, ენა, ტრადიციები, აი თაობებ შორისაც თუ არის სხვაობა, შენ თვითონ როგორი პრაქტიკები გაქვს

რესპონდენტი: - აქ ორგანიზაციებია: "მოცეკვავე წეროები", „ფესვები“, „ირინას ცეკვის კომპანია", შ. რუსთაველის სახელობის ქართული კულტურის ცენტრი, "ელვა" და ა.შ. ბავშები, რომლებიც აქ დაიბადნენ და პრობლემა აქვთ ქართულ ენაზე ურთიერთობის, შეუძლიათ მივიდნენ, გაიცნონ თავიანთი თანამემამულეები... როგორც ამერიკაში დაბადებულები, ასევე – საქართველოში. არის ცეკვის, სიმღერის, თეატრის, ჭადრაკის წრეები და ა**სევე** ქართული ენის შემსწავლელი კლასებიც. პრობლემა ი**ს**აა, რომ აქ დაბადებული ბავშვების დიდი ნაწილი გამართულად ქართულად ვერ მეტყველებ**ს**. ზაფხულში, ბებია-ბაბუასთან გაგზავნა, ცხადია, **ს**ამეტყველო რეპერტუარზე კარგად მოქმედებ**ს**, მაგრამ არაა საკმარისი. როცა სოციალური გარემო, სკოლა თუ ინსტიტუტი ინგლისურენოვანია, ხოლო ქართული მხოლოდ ოჯახში ესმის, ცხადია ინგლისური დომინანტი ხდება. რაც შეეხება ქართულ კულტურას, გამოფენა იქნება თუ აქცია, ერთმანეთს ვატყობინებთ, ფეისბუქზე ვაზიარებთ, თუ ვინმეს გამორჩა, მერე საყვედურსაც ვიმსახურებ (იცინის). არადა, მე არ ვარ ორგანიზატორი. ანუ უკვე მივაჩვიე ხალხს, რომ "პრეს – რელიზებს" ვაგზავნი (იცინის).

ინტერვიუერი: - კომუნიკაციას როგორ ინარჩუნებ საქართველოსთან, აი ახსენე, რომ ჩასული იყავი, მეგობრები იყვნენ მოსული...

რესპონდენტი: - კი, ფეისბუკზე კლასელების, ჯგუფელების ჯგუფში ვარ, ერთმანეთს აუცილებლად ვეხმიანებით, პატარა ონლაინ დღესასწაულებსაც ვუწყობთ..

ინტერვიუერი: - სოციალური ქსელების მეშვეობით უფრო?

რესპონდენტი: - კი, მესენჯერით conference call-ებით ძირითადად. ერთხე დაბადების დღე მომილოცეს ქუთაისიდან, ბუშტებს დააწერეს "ია" და ააფრინეს, გადაიღეს,

გამომიგზავნეს. ძალიან გამიხარდა, ლამის ცრემლი მომადგა. თუ ვინმეს ვისიმე ტელეფონი ჭირდება, ამაზე ოპერატიული მეთოდი ჯერ არ გამოუგონებიათ. ეს სოციალური ქსელები ამით არის უნიკალური, რომ სწორედ ოპერატიულობაა მისი ყველაზე დიდი სარგებელი. ქართველების წარმატება ძალიან მიხარია, გარდა ამისა, ასევე ნიუ-იორკზეც ვწერ, ნიუ-იორკის კულტურულ ცხოვრებაზე. თუნდაც იმიტომ, რომ თანამედროვე ამერიკული კულტურა მხოლოდ ენდი უორჰოლთან ანდა ოსკარების გადაცემასთან არ იყოს ასოცირებული. ნიუ იორკი კი გასაკუთრებულია, არ ჰგავს არცერთ სხვა ქვეყანას, ქალაქსა და შტატს, ნიუ-იორკი არის პლანეტის ხელოვნური თანამგზავრი, ეს არის სულ სხვა ფენომენი, სხვა მოდუსი აქვს ამ ქალაქს და არასდროს მოგაწყენს. ერთხელაც შენი ფოტო შეიძლება New York Times-ის ფურცლებზეც შეიძლება აღმოჩნდე.

ინტერვიუერი: - კი, დათუნიას გამო...

რესპონდენტი: - ქალაქი ისეთ სიურპრიზებს გთავაზობს ხოლმე. მაგრამ ამისთვის გარეთ უნდა გახვიდე, მიმოიხედო; ამ ქალაქის მაჯისცემას უნდა გრძნობდე და გადაგედოს ეს რიტმი მარტოობასთან ერთად. 24/7 სამსახური ამ ფუფუნებს გაკლებს. თან დრო მიდის, ხომ არ ვაახალგაზრდავდებით... უფრო მეტის ნახვა გინდა, უფრო მეტის შეცნობა, მოგზაურობა... ფიქრობ – რაღაც ეტაპი გავიარე, ვთქვათ ჩემებს აღარ შიათ, წვიმა არ ჩამოსდით თავზე და დგება დრო არა მერვე შავი კარკასის შეძენაზე ვიფიქრო, არამედ... დადგა დრო ჩემი თვალსაწიერის გაფართოვების, მენტალურ თუ ემოციურ ჯანმრთელობაზე ზრუნვის და ეს, სამწუხაროდ, არ ესმით. არადა, დროა. მაგალითად, ამერიკაში, ერთ მშვენიერ დღეს პროფესიებს იცლიან ასაკისდა მიუხედავად., ერთხელ New York Film Academy - ის ერთ-ერთ შეთავაზებული კურსის კონსულტაციაზე ვიყავი – ფოტომედიას ეხებოდა. მაინტერესებდა რას და როგორ ასწავლიდნენ. იქ იყო ერთი ქალი 73 წლის, რომელიც თავის შვილთან ერთად მოვიდა. პედაგოგი უფრო ახალგაზრდას, ეუბნება: რა კარგია, ოჯახის წევრთან ერთად რომ მოხვედითო. ის კი პასუხობს – მე დედას გამოვყევი, ენა კარგად არ იცისო, ვუთარგმეო,

ისე კი, მას ფოტოგრაფიის სწავლა უნდაო. მე პენსიაზე ვარ და მინდა პროფესიონალი ფოტოგრაფი გავხდეო... და იქნებ ოჯახური ბიზნესი გავიწყოთო. ეს ეპიზოდი იმის მაგალითია, რომ აქ არის შანსი ასაკი არ იყოს ბარიერი. ყველაფერი კეთდება არა მხოლოდ ყველასთვის სასარგებლო "რეკრუტირებისთვის", არამედ მოტივაციისთვის და ზოგადად ჯანსაღი სამოტივაციო გარემოს შესქმნელად. გამოვედი აბსოლიტურად განსხვავებული ადამიანი , მაგრამ მერე რომ ჩავხედე რამდენი იყო გადასახდელი (იცინის), დავანებე თავი. ჰო, მაგრამ ძალიან კარგი მუხტი მივიღე. ადამიანმა კარგი ფოტოაპარატი ვიყიდეო და მაინტერესებს, რომ ფოტოკურსები გავიაროო, მე ამისთვის მოვედიო (იცინის). ეს სხვა რეალობაა, ადამიანს აქვს ჯანსაღი ინტერესი და ხალისი. მაგრამ, როცა 12 და 15 წელი ერთ მოხუცთან ცხოვრობ (არ გეგონოთ, რომ "მოხუცებს" გადავეკიდე, უბრალოდ ესაა რეალობა), მისი ცხოვრებით ცხოვრობ და მერე, მგონი, მარკესის "მარტოობის 100 წელიწადის" არ იყოს, მოსავლელს ემსგავსები, თუ... საკუთარი არა გაქვს ანდა ვერც კი შეამჩნიე, ისე თქვი უარი საკუთარ თავზე. დიდი ალბათობით, იმ 73 წლის ქალივით ვერასდროს იპოვი მოტივაციას. ხომ ხედავთ, აგერ უბრალო თუ ბრალიანი საჩუქარი "სკოლაში" სიარულის მოტივატორი გახდა.

ცხადია, როცა შენ გაქვს შეზღუდული ფინანსური რესურსი, როცა გექაჩება საქართველო ანუ ბოლომდე არა ხარ აქ და ვერც იქ ხარ, საზრუნავი ორივეგანაა და რესურსი უნდა "გასაშუალო", ეს ართულებს არჩევანს, გადაწყვეტილების მიღებას, თორემ ამერიკაში მყოფ შვედს, არა მგონია, დიდად ადარდებდეს სტოკჰოლმში მის ბიძაშვილს აქვს თუ არა კარგი სტომატოლოგის ფული; ექნება თუ არა დედამისს ისეთი პენსია, რომ დაღლილმა ტაქსი გამოიძახოს, გაუკეთებენ თუ არა მას „ბრმა ნაწლავის“ ოპერაციას სტერილურ პირობებში და არ დაგეგმავს როგორ შემოიყვანოს თავისი ცუდადნამკურნალები ძმა (მანამდე ჩაგდებული მეხუთე მცდელობის შემდეგ) მექსიკის საზღვარზე, რომ სიკვდილსა და უსაქმურობას გადარჩინოს და ამისთვის თავად გაეხვიოს ვალებში.

ინტერვიუერი: - ამ გადმოსახედიდან რამდენად მიიღებდი იგივე გადაწყვეტილებას, რომ წამოსულიყავი ამერიკაში, გეცხოვრა და თუ აპირებ უკან დაბრუნებას, საქართველოში ოდესმე თუ გაქვს მოაზრებული, რომ აი რაღაცა პერიოდის მერე, საქართველოში დაბრუნდები.

რესპონდენტი: - შორს მიმავალ გეგმებს ვერ ვსახავ, იმიტომ, რომ რამდენი რამე დავგეგმე და განვაცხადე, ყველაფერი აბსოლუტურად პირიქით გამოვიდა (იცინის). ლუკას სწავლა–განათლების გამო უახლოესი ექვსი წელი მაინც ამერიკაში ვარ. ეგ ჰამლეტისეული საგონებელი ჩემთვის წლების წინ იყო აქტუალური. სულ ვფიქრობდი, რომ. ალბათ, ნამდვილად არ წამოვიდოდი... საქართველოში 2023 ის მარტის მოვლენები რომ იყო, ბევრმა ჩემმა ქუთაისელმა და თბილისელმა მეგობარმა მომწერა – ია, წესით, აქ უნდა იყო, რა გახდა და რით ველარ ჩამოხვედი, გვჭირდებიო. ფაქტია, რომ ის ხალხი, რომელსაც შეეძლო ბევრი რაღაცის შეცვლა, რეფორმების მოსურნე იყო, შეეწირა ამ ეკონომიკურ თუ კორუფციულ პრობლემებს, ამ კეისარს კეისრისას, თან როცა "პატრონი" არა გყავს. ... იდეები ისევ მაქვს, არ შევცვლილვარ, ისეთივე პოზიციაზე ვარ, დიახ, ქართველები გაცილებით უკეთესის ღირსნი ვართ. ჩემი აზრით და არა მარტო, პირადად მე არ დამიკლია მცდელობა იმისთვის, რომ ხალხს მხოლოდ რუსთაველით კი არა, არამედ აწმყოთიც ეამაყა და შევმდგარიყავით, როგორც სამოქალაქო საზოგადოება. მაგრამ სხვაგვარი პასუხიმგებლობაა როცა ოჯახი გყავს და თან ასაკსაც გააჩნია. გერ ჩემმა მშობლებმა მოიგეს მწვანე ბარათი. მამამ ვერ გაუძლო ნოსტალგიას, გაიქცა ერთი წლის მერე. დედა ამერიკის საელჩოს "უცნაური" გადაწყვეტილებით, ვერ წამოვიდა... ომი იყო, აგვისტო 2008– ის.

რაც ჩემი თავი მახსოვს, დღეში სამ საათზე მეტი არ მიძინია... სულ სადღაც გავრბოდი, მოვრბოდი, აქციაზე, კონფერენციაზე, ვწერდი, რადიო და ტელეგადაცემებში ვმონაწილეობდი, "იდეები მაწუხებდა" (იცინის). ეკონომიკური პრობლემების მოგვარებამ წაიღო ძალიან ბევრი ნერვი, დრო და რესურსი. როცა ყველაზე პროდუქტიულ ასაკში ხარ, როცა ტვინის ფუნქციები, ასე ვთქვათ, უფრო სხარტია და

ამ უნარებს თუ მოდუსს ახალ მიწაზე ნულიდან დაწყების პროცესი იწირავს, უფრო, ალბათ არ წამოვიდოდი... მაგრამ მედალს მეორე მხარე აქვს. თუ ფინანსურად დამოუკიდებელი არა ხარ, ამ კორუმპირებულ–ნეპოტისტურ სამყაროში როგორ "გამოისყიდი" შენ კუთვნილ თავისუფლებას? როგორ გადავწყვეტ ყოველდღიურ პრობლემებს? კეთილი სამარიტიელიც ხომ ისაა, ვინც ფული გასცა გაჭირვებულის მოსასულიერებლად. თუ ფინანსურად მყარად არ დგახარ, მერე დამოკიდებული ხდები იმდენ რაღაცა–ვიღაცაზე და ისეთი ძალა/ძალები იქნება შენი ბრჭყალებში მომყვდევი, რომ "თარგმანში ძალიან დაიკარგები". ყველა ვერ იქნება სპაიდერმენი და ნიუტონის კანონი ჩვეულებისამებრ იმოქმედებს. ამ კუთხით ადამიანს, რომლის მამა რუსებმა აფხაზეთში მოკლეს, ათი დღე არ უჭამია, შია, შვილს კი არ აქვს წამალი, ვერაფრით მოთხოვ მემარცხენე–მემარჯვენეების ეკონომიკური პოლიტიკის წიაღსვლებით დაკავდეს. ეს არის ჩიხი. მართლა ყველაფერი ჰოლივუდური ჰეპი ენდით კი არ სრულდება. არის რაღაც მდგომარეობები, რომლისგანაც გამოსავალი არ არის. ფეისბუკზე დავწერე კიდევაც არაერთხელ, როცა კამათი მომივიდა თემაზე – არის თუ არა ემიგრაცია თავისუფალი არჩევანი. არ არის ეს არჩევანის მდგომარეობა. არჩევანი არის, როცა მაღაზიაში შედიხარ და ვაშლს, მსხალსა და ბალს შორის ირჩევ, ან სამივეს ყიდულობ, ან ფიქრობ, რომ რახან ორი ცალი ვაშლი უკვე მაქვს, მოდი, ამ ჯერზე მეტ მსხალს ვიყიდი. ეს არის არჩევანი. მაგრამ როცა, მაგალითად, შენი ოჯახის არსებობა შენზეა დამოკიდებული, საკვები, შუქი გადასახდელი და ამას გარდა მეზობელ–ნათესავიანად ყველა ისევ შენ გიყურებს – ფულს ხომ არ ასესხებდი გაურკვევლი პერიოდით, შენ კი მუშაობ "კავკასიურ სახლში", ხანდახან ტელევიზორში ჩანხარ, ვიღაც კი იფიქრებს, ამას რა უჭირს, ბევრი ფული გაქვსო (იცინის). ეს არ არის თავისუფალი ნების არჩევანი. მეუბნებიან, ამ ხალხს ხომ არავინ მიერეკებაო მექსიკისკენ. ადამიანს, რომელსაც დედა ჰყავს სიმსივნით დაავადებული, თვითონაც აქვს ხერხემალზე სიმსივნე, ყავს უმუშევარი, დავრდომილი ძმა, მცირეწოლვანი ძმისშვილები და სამი თვეა მაკარონს ჭამს, მას, უთხრა: იცი, რა, შენ რომ გადმოხვედი მექსიკის საზღვარზე, სამჯერ ჭაობში რომ ჩავვარდი, ციხეში საცვლები გაგხადეს და

საპატიმრო საცვლები ჩაგაცვეს თან არა შენი ზომის, ბორკილები ხელებზე და ფეხებზე დაგადეს, ეს შენი არჩევანი იყოო, როგორც მინიმუმ, ჩემი აზრით, აბუჩად აგდებაა...

ეს არაა არჩევანი და არც ცხოვრების სტილის შეცვლის სურვილი. ჰო, გადაადგილების უფლება ადამიანის უფლებაა. მაგრამ, როცა სასოწარკვეთა გდევნის შენი ქვეყნიდან და როცა ხუთი კი არა, გნებავთ, თუნდაც ორი შვილი გყავს და ფიქრობ, რომ ჯობს პატარას ვაჭამო, იმიტომ, რომ ორი წლით უფროსი შიმშილს უფრო გაუძლებს ან გუშინ უფროსმა ჭამა, დღეს, უმცროსის რიგია... რა გითხრათ? ცხადია, ეს არაა უილიამ სტაირონის "სოფის დილემა". მაგრამ ისიც ცხადია, რომ ასეთი არჩევანის წინაშე არ უნდა დადგეს ადამიანი არც ევროპის და არც – აფრიკის კონტინენტზე. და ამაზე უნდა იზრუნოს სახელმწიფომ. ამისთვის არსებობს ეს სახელმიფო, აბა სხვა რისთვის ამართლებს თავის არსებობას? არა იმისთვის, რომ პრემიერის მაჯის საათების კოლექციით "დავტკბეთ". არსებობს ამისთვის, რომ დაუცველი დაიცვას.

ხშირად მიფიქრია, თუნდაც ბოლო ათი წლის საქართველო დასავლეთისგან რით განსხვავდება. იმით, რომ უფასო ფულის დაპირებაზე გაიყიდა და ვერც კი "მოიაზრა", რომ ეს ძალიან იაფფასიანი სატყუარა იყო. მგონი, შვედეთში ჩატარდა პლებისციტი – კენჭისყრაზე იყო უნდოდათ თუ არა შვედებს, რომ სახელმწოფოს მათთვის არაფრისთვის ყოველ თვე თუ ყოველ წელს უფასო ფული – 2000 ევრო დაერიცხა. პრინციპში ესეც ბიუჯეტის ფული იქნებოდა. პასუხი იყო – არა, არ გვინდაო, იმიტომ, რომ საფუძველს ვერ ვხედავთ, რატომ უნდა მივიღოთ ეს ფულიო თუ არ გვეკუთვნის ამგვარი საჩუქარიო. დასავლეთი მარტო ლამაზი სახლები და სუფთა სადარბაზეობი არაა. არამედ საქმისადმი და ანაზღაურებისადმი რაციონალური დამოკიდებულების ცნობიერება, უფლებაც და პასუხიმგებლობაც. და ეს "დილემა" ეხება არა იმდენად სიღარიბე–სიმდიდრის, მაძღარ – მშიერის თემას. არამედ – პრინციპს. ადამიანებს სატყუარაზე კრიტიკა უნდა ერთვებოდეთ.

თბილისში ყოფნისას ერთ მშვენიერ დღეს ფანჯრის წინ, მეორე სახლის სახურავზე სარემონტო სამუშაოები შევნიშნე. თავი რომ დავანებოთ იმას, რომ უკანონო იყო ჩვენ

წინ მდებარე კორპუსზე სართულის დადგმა, დავინახე, რომ სახურავზე ასე 14–15 წლის ბავშვი უფროსებს სახურავის დემონტაჟში ეხმარებოდა. განგაშის მიუხედავად მერიამ ყური არ გაიპარტყუნა, თუმცა სასამართლოში ვიჩივლეთ და "ბიზნესმენს" უკვე აშენებულის დემონტაჟი დაევალა. ფოტო, ვიდეო გადავუღე ბავშვს, ავტვირთე ფეისბუკზე, ვის არ გავუგზავნე, კაციშვილმა ყური არ გაიპარტყუნა. უსაფრთხოების მინიმალური ზომებიც არ იყო დაცული. გადავძახე, რა გინდა, შვილო, ამ სახურავზე 14 წლის ბავშვს? მამას ვეხმარებიო. გასაგებია, რომ სახელმწიფოს ჰკიდია. მშობელსაც? რა სამუშაო ეთიკა და რა სანიტარული ნორმები და რა ადეკვატურობის განცდა?! ჰოდა, ვფიქრობ, ამიტომაც სასიცოცხლოდ გვჭირდება ევროკავშირის წევრობა, რომ ცხოვრების, უსაფრთხოების დასავლური სტანდარტები, წესი, ჩვევა იქნებ რამენაირად გადმოგვედოს. იქნებ რაოდენობრივი ხარისხობრივში გადაგვივიდეს. იმიტომ, რომ რუსეთიდან ყველანაირი მარგინალური და ყველანაირი ობსკურანტური გადმოგვედო. ჰოდა, დროა გადაიფაროს ცივილიზირებულობით. იქნებადა ეს სტანდარტები გადმოგვედოს – სამუშაო ეთიკა, ტროტუარზე მანქანების არდაპარკინგება, სადარბაზოს სისუფთავე და კიდევ მილიონი სხვა სასარგებლო რამ, რაც ცივილიზირებულ სახელმწიფოდ გვაქცევს. უბრალოდ ეს ნორმები უფრო თავსებადია სიცოცხლის უნარიანობასთან, კეთილდღეობასთან, უსაფრთხოებასთან, თორემ განა მართლა უმოტივო იდეაფიქსია ეს დასავლეთი?

ინტერვიუერი: - უკან დაბრუნებაზე, როცა ვისაუბრეთ, სადღაც 5-6 წელი არ გაქვს მოაზრებული, მაგრამ, რადგან მაინც ფიქრობ, რომ როდისმე შეიძლება დაბრუნდე, ძირითადი მიზეზი განმაპირობებელი რა არის, რა გაბრუნებს საქართველოში

რესპონდენტი: - ალბათ, მეხსიერება. რთულია ელაპარაკო საქართველოზე ბავშვს ან იმ ადამიანს, რომელიც აქ დაიბადა. იმიტომ რომ, ჩემი შეგნებული ცხოვრება, საზოგადოებრივად ჩემი ყველაზე მეტად აქტიური პერიოდი საქართველოში გავატარე და თუნდაც ჩემი ქმედების შედეგი, ალბათ, საქართველოს "დაეტყო" (იცინის). ამერიკა კი უჩემოდ მაინც იარსებებს.

ინტერვიუერი: - ანუ მთავარი მიღწევები მაინც რაც გაქვს, მაინც უფრო საქართველოს მოიაზრებ, როგორც სივრცეს....

რესპონდენტი: - ცხადია, იმიტომ, რომ სადაც შენი ენაა, ისაა შენი ორგანული გარემო. მიუხედავად იმისა, რომ ქუთაისში, როგორც მაშინ უწოდებდნენ მესამე სკოლას, ინგლისურ სკოლაში ვსწავლობდი და ენობრივად არ გამჭირვებია, კითხვაც არ უნდა, ყოველგვარი პათეთიკის გარეშე, საქართველოს უფრო გამოვადექი (იცინის)....

ერთხელ ჟურნალ "ფორბსის" ქალთა კონფერენციაზე ვიყავი. იქ იყო ძალიან ბევრი, საინტერესო ქალი იყო, კოსმონავტიდან დაწყებული ივანკა ტრამპით დამთავრებული. მარჯვნივ და მარცნივ ვარიგე თბილისში "ქალთა საინფორმაციო ცენტრის" მიერ გამოშვებული ბარათები საქართველოს პირველი რესპუბლიკის ქალ პარპლმაენტარებზე. ვისთვის არ მიჩუქებია ეს ბარათები – მარიო ვარგას ლიოსადან და ჩიკ კორეადან დაწყებული ვიდრე გლორია სტეინამდე და ჯეინ ბირკინამდე (იცინის). და აღმოჩნდა, რომ ეს საქართველოს ყველაზე მეტყველი სავიზიტო ბარათია. ყველას უკვირდა – 100 წლის წინ ქალები გყავდათ პარლამენტშიო? ნახევრადხუმრობით, ჯერ–ჯერობით ამ სფეროს ვერ სცდება ეს ჩემი აქტივობა (იცინის). ჩემი ამერიკაში ქართველებზე სტატიების წერის მოტივიც ყველაფერთან ერთად ისიცაა, რომ თანამემამულეებს ვცდილობ დავანახო – ქართველები აქ მხოლოდ მოხუცების მომვლელები და არაკვალიფიცური საქმის შემსრულებლები არ არიან. ამერიკაში ჩვეულბრივია კითხვა – რას აკეთებ რომ იცხოვრო. ყოველთვის გეკითებიან, იმიტომ, რომ იციან – ხატვით, ფოტოგრაფიით და წერით, აქ თავს ვერნაირად ირჩენ თუ, ცხადია, ჯასპერ ჯონსი არ ხარ. ყოველ შემთხვევაში ჩემი ნიშა აქაც ვიპოვე, ყველა მიცნობს და აქცია იქნება თუ საღამო იმდენი უცნობი ადამიანი მესალმება და გადამეხვევა ხოლმე, მეუხერხულება, რომ ვუთხრა, უკაცრავად ვერ გიცანით (იღიმის). ყოველ შემთვევაში სასარგებლოს აქაც ვაკეთებ, თუმცა, მაინც თუ წონადობის მიხედვით განსაზღვრავთ, ცხადია, ჩემ სამშობლოში უფრო მეტს შევძლებდი. ასე მგონია, რომ ეს ხალხი, რომლიც აქ წამოვიდა – შრომისმოყვარე, სხარტი,

განათლებული იყო და ეს მათი გზა ისტორიასაც არ შემორჩება და ამიტომაც , ძალიან გულნატკენები არიან. მათ შვილები ჩამოიყვანეს, მშობლებიც და შვილიშვილებიც აქ შეეძინებათ.

მარტის აქციების მერე გაჩნდა ტერმინი Gen-Z რა კარგი ახალგაზრდები არიანო, რა ჭკვიანიო. კი, ასეა. დარწმუნებული ვარ, ყოველ მეორეს ან მესამეს დედა, ოჯახის წევრი ემიგრაციაში ჰყავს. იმიტომ, რომ პროტესტის განცდას განათლებაც გძენს, საქართველო კი ისეთი ძვირი ქვეყანა გახდა, საშუალო სტატისტიკური მოქალაქე ვერც გაჯეტებს იყიდდა ბებიის პენსიით და ვერც ესპანეთსში იმოგზაურებდა. ლუკა, მაგალითად, თბილისში კერძო სკოლაში სწავლობდა. მე ჩემი ხელფასით საქართველოში ვერაფრით ვერ გადავიხდიდი იმ თანხას. კარგი Generation Z გვყავს და ისიც ვიცი, რომ როგორც მე ლუკა წამოვიყვანე, მათი დედებიც წამოიყვანენ... ღია თემა არაა ინსტიტუტებში ფასიანზე როცა სწავლობენ, მშობელი სად ჰყავს ამ სტუდენტს. ასეთი ლაღები, თავისუფლები, რომ არიან, ინგლისური, რომ კარგად იციან, ეს არის ზუსტად, აი, იმ ყოფითი პრობლემების მოგვარების ხარჯზე, რომელსაც ქალები აგვარებენ. განა, მარტო ქალებზე ვსაუბრობ? კაცებზეც, ცხადია.

ჩვენი შვილები, ვინც აქ სწავლობენ, მუშაობენ, ძალიან ეჭვი მეპარება, რომ საქართველოში წავიდნენ. არც გამიგია, რომ ვინმემ აქ დაამთავრა უნივერსიტეტი, მშობელმა ჩამოიყვანა, დაკრა ფეხი და თბილისში ანდა ოზურგეთში წავიდა. ლუკა, მაგალითად, Army National Guard – ის რიგითია, ნიუ იორკის ტექნოლოგიურ კოლეჯში პროგრამისტობას სწავლობს. არ ვიცი, საქართველოში მისი გამოცდილება ვის უნდა გაუზიაროს? იშოვის კი სამსახურს? ამ ეტაპზე ვერ ვხედავ ქვეყნის წარმატების კი არა, გადარჩენის პერსპექტივასაც კი. საქართველოში ჯარი სავალალო მდგომარეობაშია; ციფრული მეცნიერებები იქნება კი პრიორიტეტული, ყველაზე მოდური და თუნდაც კონიუქტურული? თუ ისევ "რუსკი მირის" პრიორტეტებით ვიცხოვრებთ?

მე იმდენად დამსტრესა ჯერ გავრილოვის ღამემ და მერე 5 ივლისმა, "ინოაგენტების კანონის" მიღებას უკვე "გაგებით მოვეკიდე", რადგანაც ვიცოდი, ასე იქნებოდა. საქართველოში ლამის 35 წელი სულ ერთი და იგივე თემას როგორ უნდა ვუტრუალოთ? მოთმინება როგორი უსაზღვროა ჩვენი... მაგრამ ეს მოთმინებაც რაღაც ჩარჩოში ხომ უნდა ჯდებოდეს? წარმოუდგენელი ერთ ნაბიჯს წინ დგამდე და ამავე დროს 15 ნაბიჯს– უკან, მერე ისევ და მერე ისევ იგივე და იგივე. ეს ცრუევოლუცია თაობების მენტალიტეტზე აისახება, ჰოდა, ჩემი აზრით, ეს ახალი თაობაც, რომლის საპროტესტო კრეატიულობის მოწმეები ვიყავით თავიანთ მომავალს საქართველოში დიდად ვერ ხედავენ... თუ არაფერი შეიცვალა. ძალიან ბანალურ რაღაცას ვიტყვი, მაგრამ იმ 12 პუნქტიანი გეგმის იგნორირება საქართველოს საბოლოოდ დააციარელებს. როგორი პარადოქსულია ცხოვრება (იცინის). ადრე ჩვენ ვეხვეწებოდით ევროპას მიგვიღეთო, ახლა ისინი გვეხვეწებიან: გთხოვტ, იქნება რამენიარად გადარჩეთო. დაგვეხმარეთ, რომ გადაგარჩინოთო.

ინტერვიუერი: - რეალურად ეს თაობა მაგიტომ იყო ქუჩაში, რო არ გაუხდეს საკუთარი სამშობლოდან გასაქცევი, ანუ თავის თავს საქართველოში, რომ ხედავს, ამიტომ გამოვიდა გარეთ

რესპონდენტი: - მე კი უფრო Generation X-ის გამოცდილება მაქვს. მეც იმიტომ დავრბოდი აქციებზე, ვწერდი, ვაპროტესტებდი, ქალთა უფლებებზე გალურჯებამდე ვმაკათობდი, გაქცევა არ მინდოდა, მაგრამ მაინც იძულებული გავხდი. მინდა ამ მანკიერი წრიდან გამოვიდეთ, მაგრამ საქართველოს რუსეთთან ურთიერთობა ისეთი კარმული გახდა, უკვე არ ვიცი, რაგვარი ძალისხმევით, რით შეიძლება დავიძვრინოთ თავი. ჩვენ გათავისუფლებაზე და თავისუფლი ენერგიის არსებობაზე კი არ ვსაუბრობთ, არამედ იმაზე, რომ რამენაირად, როგორღაც დავიძვრინოთ თავი. აი, რაღაც ტოქსიური სუბსტანცია, რომელიც ყველგანა, რომ ჩაგეჭიდება და განა ეპაექრები, როგორც მერაბ დვალიშვილი ეპაექრებოდა რუსს (იცინის). არა, რაღაცა პატარა ილეთით, "მუხანათურად", რომ იქნებ ბანანის კანზე იქნებ ფეხი აუსრიალდეს,

დაეცეს ისე, რომ ვერ ადგეს და შენ ამ დროს თავს სირბილით უშველო, დროზე მაინც გაიქცე. ეს არაა შერკინება, ეს არი სხვა გზა... ახლა იმედი გვაქვს, იქნება უკრაინამ გადაგვარჩინოს. ეს თუ არ მოხდა, არ ვიცი... ჩემი ტვინი ყველაზე ცუდი სცენარის გათამაშებას აიგნორებს. ვიცი, ვადა მოგვცეს და იქნებ... ეს თემა მართლა ძალიან მაწუხებს. მე არ ვიცი რა იქნება მექსიკის საზღვარზე თუ კანდიდატის სტატუსი ვერ მივიღეთ. რაღაცა პერიოდი იმასაც ვამბობდი, თუ მაინც და მაინც ემიგრანტობა იყო ჩემი გზა, ევროპაში მაინც წავსულიყავი... არადა, რამდენჯერ მქონდა დარჩენის შანსი. იმიტომ, რომ სახლთან გეოგრაფიული სიახლოვეა. შაბათ-კვირისთვის ასე ვთქვათ, ავტობუსს დააჯდები, ჩახვალ, ოჯახს ნახავ, მეგობრებს. მერე ისევ ავტობუსით დაბრუნები. ქორწილში თუ ჭირის დღეზე იქვე ხარ, ახლოს. ამერიკა შორსაა და ასე წამდაუწუმ ვერ იფრენ... ბევრი ვიცი, ვინც უმწვანე ბარათის გარეშე დაბრუნდა და ახლა მექსიკის საზღვარზეა.

მექსიკის საზღვარზე გადმოსულ ქართველ რესპონდენტთა ლამის 50% პოლონეთიდან და იტალიიდან ჩამოსულები არიან. სხვათა შორის, ერთ-ერთმა წამოსვლის მიზეზად უკრაინის ომიც დაასახელა. ოჯახთან ერთად იგი პოლონეთში ქათმის ბარკლების დაფასოების ქარხანაში მუშაობდა. ერთხელაც დამქირავებელმა უკრაინელების მხარდასჭერად ქართველები გაათავისუფლა და მათ ადგილზე უკრაინელები მიიღო. ეს გასაგებია... ამ კრიზისმა გამოიწვია ის, რომ ათი წლის წინ პოლონეთში საქართველოდან წასულები, ახლა პოლონეთიდან მექსიკის საზღვრისკენ წამოვიდა. ძალიან ბევრი ქართველია, ვისაც ბინადრობის უფლება აქვს პოლონეთში, იტალიასა და ესპანეთში. მაგრამ გამომუშავებული თანხა საკმარისი არ აღმოჩნდა, რომ საქართველოში თავიანთი ოჯახები გამოეკვებათ. სამწუხაროდ, დღევანდელობა საქართველოს ისტორიის ასეთი სევდიანი ფურცელია.

ინტერვიუერი: - ძალიან დიდი მადლობა ია, ძალიან საინტერესო ინტერვიუ გამოგვივიდა.